ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

4 ივლისიდან

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

ვფააბს ბსნჯკბფ

!) კფჰბ



cfvif,fsb7 # bdkbcb7 @)!@ 1156 (5846) afcb5 #) stshb

# პეტრე ცისკარიშვილი: მთავრობას ახალი სისხლი სჭირდებოდა“ გვ. 3

ოპოზიცია ახალ მინისტრთა კაბინეტს უკვე პარლამენტში იბარებს



## სააკაშვილი მერაბიშვილს აღარ ენდობა“

რა საფრთხეს უქმნიან რესპუბლიკელები ივანიშვილს



გვ. 5

## ირაკლი ალასანია: მერაბიშვილის დაპირებები წინასაარჩევნო ტყუილია“ გვ. 5



## ამერიკა სააკაშვილის გადასარჩენად ხელს აღარ გაანძრევს გვ. 4

მოხდება თუ არა ბოკერიას განეიტრალება



## ვაშაძე რუსეთიდან საფრთხეს ელოდება გვ. 7

## ზაზა სვანაძე ციხის ზედამხედველებს გაუპატიურებით მუქარაში ადანაშაულებს გვ. 6

## აღსრულების ბიურომ ბიძინა ივანიშვილის დაყადაღებული ქონება აუქციონზე გაიტანა



გვ. 2

## გიორგი ჩიტაური: ქართული ოცნება თიანეთში არჩევნებს ვერ მოიგებს“ გვ. 4

რატომ გადაწყვიტა მომღერალმა პოლიტიკაში წასვლა



20 ივნისიდან

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

]ეპტგტ დტჰლბ

* კფჰბ



ISSN 1987-9385

2 ხელისუფლებამ ივანიშვილს არარსებული წილები დაუყადაღა

6 აშშ-ის კონგრესის დელეგაცია თბილისს ესტუმრება

7 დევნილები საცხოვრებელი ფართების დაკანონებას ითხოვენ

6 ვის იმედზეა დარჩენილი სააკაშვილი

# ხელისუფლებამ ივანიშვილს არარსებული წილები დაუყადაღა

## გერმანია საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ითხოვს

**ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მაია ფანჯიკიძემ ყურადღება გაამახვილა გასულ კვირაში „პოლიტიკური სუბიექტების დაჯარიმებასა და ბიძინა ივანიშვილის არარსებული წილების დაყადაღებაზე".**

გულიკო ბალაძე

– 25 ივნისს საქართველოს კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შედგენილ იქნა სამართალდარღვევის ოქმები კოალიციაში შემავალი ექვსივე სუბიექტისა და საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" მიმართ. სამართალდარღვევად მიიჩნიეს ის გარემოება, რომ მათ „„მენეჯმენტსერვისისგან" მიიღეს 476 ათას 619 ლარის შემოწირულობა, რომელიც ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვარაუდით, გამოიხატება „კოალიცია ქართული ოცნებისთვის" ოფისების გარემონტების ხარჯში. 26 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სამართალდარღვევის ოქმები, არ გაითვალისწინა კოალიციის წარმომადგენლების არც ერთი მოსაზრება, სრულად დააკმაყოფილა კონტროლის პალატის მოთხოვნა და კოალიციის ექვსივე სუბიექტს, ასევე საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას" დააკისრა „უკანონო" შემოწირულობის 476 ათას ლარზე მეტი და ჯარიმის 2 მილიონ 383 ათასი ლარის გადახდა. ჯამში ეს თანხა შეადგენს 2 მილიონ 859 ათას 717 ლარსა და 6 თეთრს. შეგახსენებთ, რომ „მენეჯმენტსერვისისგან" საოფისე ფართები ნაქირავები ჰქონდა კოალიციაში შემავალ 3 სუბიექტს – თავისუფალ დემოკრატებს, რესპუბლიკელებს და ეროვნულ ფორუმს, რომლებიც ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამის თანხას უხდიდნენ მათ. მათ შორის, ინვენტარის, რემონტისა და ქირის ღირებულებას. რაც შეეხება საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას" და და კოალიციაში შემავალ სხვა სუბიექტებს, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს", მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსა და კონსერვატიული პარტიას, მათ „მენეჯმენტსერვისთან" არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ სასამართლომ „უკანონო შემოსავლების" ფაქტის დადგენისას იხელმძღვანელა სხვა საქმეზე მიღებული სასამრთლო გადაწყვეტილებით. ეს არის 28 მაისის დადგენილება, რომლითაც „მენეჯმენტსერვისი" დაჯარიმდა 476 ათას 619 ლარითა და 51 თეთრით, რითაც უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა. კოალიციის მიერ სასამართლო გადაწვეტილება გასაჩივრდა 29 ივნისს, ხოლო მეორე დღესვე, შაბათს, დილის 10 საათზე სასამართლომ განიხილა სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ხელისუფლების უკანონო ქმედებით კოალიციის 6 სუბიექტს და საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას" სოლიდარულად დაეკისრათ 2 859 ათას 717 ლარი. და 6 თეთრი, რომლის გადახდის ვადაც იწურება 5 ივლისს. ამას ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი, რომ სასამართლოებს 2-3 დღე და ხშირ შემთხვევაში რამდენიმე საათი ყოფნით იმისათვის, რომ გამოიტანონ ჩვენთვის საზიანო გადაწყვეტილებები, მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი 9 თვეა სასამართლოებში განიხილება. ეს არის ხელისუფლების მცდელობა, საარჩევნო კამპანიის წარმოება გახადოს შეუძლებელი, მაგრამ ჩვენ გვაქვს ალტერნატიული კანონიერი გზები, რომლითაც ჩვენს საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ხელისუფლების მცდელობა კი უშედეგო იქნება, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ხელისუფლებამ კიდევ ერთი უკანონო ქმედება განახორციელა, როდესაც 26 ივნისს ბიძინა ივანიშვილის მიმართ დაკისრებული ჯარიმის, 75 მილიონი ლარის იძულებით გადახდევინების მიზნით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ყადაღა დაადო ბანკ „ქართუს" 100%-იან წილს, „ქართუ ჯგუფის" 100%-იან წილს და 21,7%-იან წილს „პროგრესბანკში".

– აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ქონებიდან მხოლოდ „პროგრესბანკში" არსებული წილის მესაკუთრეს წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილი, ხოლო „ქართუ ბანკსა" და „ქართუ ჯგუფში" იგი, საერთოდ, არ ფლობდა წილს. იმისათვის, რომ უფრო ცხადი გახდეს, მოგახსენებთ, რომ „ბანკ ქართუს" 100%-იანი წილის მფლობელია „ქართუ ჯგუფი", ხოლო „ქართუ ჯგუფის" 100%-იანი წილის მესაკუთრეებს წარმოადგენენ ორი ქართული და ოთხი უცხოური კომპანია. უცხოურ კომპანიებში ბიძინა ივანიშვილი მართლაც ფლობდა წილს, მაგრამ როგორც შესაბამისი მტკიცებულება და თავად ბიძინა ივანიშვილის საჯარო განცხადებები მოწმობს, აღნიშნული წილები 2012 წლის 2 მაისს მან გაასხვისა თავის ვაჟზე, უტა ივანიშვილზე. ამით დასტურდება, რომ ეროვნული ბანკის განცხადება, თითქოსდა ბიძინა ივანიშვილი წარმოადგენს „ბანკ ქართუს" ბენეფიციარ მესაკუთრეს, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამასთან, ეროვნული ბანკის მხრიდან იმაზე მითითება, რომ ბიძინა ივანიშვილი ვალდებული იყო ამ წილის გასხვისების შესახებ ეცნობებინა ეროვნული ბანკისთვის, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან საქართველოს კანონმდებლობა ასეთ ვალდებულებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა უშუალოდ კომერციული ბანკის, ანუ ამ შემთხვევაში „ბანკ ქართუს" წილის გასხვისება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. „ბანკ ქართუს" 100%-იან წილს კვლავაც ფლობს „ქართუ ჯგუფი". ამდენად, ხელისუფლების ქმედება გასცდა კანონის ფარგლებს. დაკისრებული ჯარიმის გადახდის მიზნით, მათ განიზრახეს, განახორციელონ იმ ქონების იძულებითი რეალიზაცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილის საკუთრებას საერთოდ არ წარმოადგენს, – აცხადებს მაია ფანჯიკიძე.



ბოლო დროს, ძალიან გამრავლდა მითითებები და რეკომენდაციები „ნაციონალური" ხელისუფლებისა და მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილისადმი, რომ მათ ოქტომბრის არჩევნები უნდა ჩაატაროს დემოკრატიულად და დარღვევების გარეშე, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. ერთი ასეთი განცხადება მაია ფანჯიკიძემ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გააცნო. კერძოდ, გერმანიის ბუნდესტაგის მმართველი პარტიის წარმომადგენლები მოუწოდებენ სააკაშვილს გაითვალისწინოს წინა წლებში ჩატარებული არჩევნების ნაკლოვანებები და იზრუნოს მის გამოსწორებაზე.

– გასულ კვირაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა განცხადებამ, რომელიც გააკეთა გერმანიის ბუნდესტაგის მმართველი პარტიის საგარეო პოლიტიკურმა სპიკერმა ბატონმა ფილიპ მისველდერმა. ამ განცხადების სათაურია, „საქართველოში უნდა ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები". გერმანიის ბუნდესტაგის „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის, ქრისტიან სოციალური კავშირის ფრაქციის სპიკერი ფილიპ მისველდერი აცხადებს: გერმანიის ბუნდესტაგის ამ ფრაქციის აზრით, საქართველოში 2012 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს არჩევნები იძლევა საშუალებას პოსტსაბჭოთა სივრცეში დაამკვიდროს დემოკრატიის ახალი სტანდარტები და სამაგალითო გახდეს მთელი რეგიონისთვის. საქართველოს ეს შეუძლია, რადგან 2008 წლის 21 მაისს გამართული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნები ძირითადად დადებითად შეაფასეს. შედეგებმა პრინციპში აჩვენა ამომრჩევლის ნება, რადგან არსებობდა რეალური ალტერნატიული არჩევანი. თუმცა, დამკვირვებლებმა გამოამჟღავნეს მრავალრიცხოვანი, ნაწილობრივ მძიმე დარღვევებიც ცალკეულ უბნებზე და, ამდენად, ის გამოწვევები, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. ბუნდესტაგის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის, ქრისტიან-სოციალური კავშირის ფრაქცია ფასეულობებზე დამყარებული ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე მოუწოდებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, სერიოზულად მიუდგეს და გაითვალისწინოს წინა არჩევნების ნაკლოვანებები, ჩაატაროს საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და არჩევნებამდე შეასრულოს ეუთოს ყველა საარჩევნო სტარდარტი. მათ შორის, პირველ რიგში, ქვეყნის მედიაზე თავისუფალი წვდომა, საარჩევნი კამპანიის ჩატარების თავისუფლება, პოლიტიკური კონკურენტების თანასწორუფლებიანობა და ფარული არჩევნების შედეგად მიღებული ხმების საჯარო დათვლა. გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, მეორე დონორი ქვეყანაა საქართველოში მის მიერ 1992 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან. გრძელვადიანი თანამშრომლობის ძირითადი შეთანხმებული სფეროებია, ენერგომომარაგება და გარემოს დაცვა, ეკონომიკის მდგრადი განვითარება, კომუნალური განვითარება, სამართლისა და იუსტიციის რეფორმა. აგრეთვე, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამ ასპექტის გათვალისწინებითაც არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული სტანდარტების უზრუნველყოფა, რადგან ჩვენი სურვილია, გაღრმავდეს ჩვენი თანამშრომლობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში.

პრესკონფერენციაზე გახმოვანდა, რომ სოფელ ნარაზენში ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი კომპანია აშენებდა ეკლესიას და ხელისუფლებამ მშენებლობის შეჩერება მოსთხოვა. მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი სმენია, თუმცა, ეკლესიის მშენებლობის თაობაზე განცხადებამ, ბაგრატის ტაძარი გაახსენა.

– ამის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ ეკლესიის მშენებლობამ ახლა ბაგრატის ტაძარი გამახსენა. ძალიან მეუცნაურა ბაგრატის ტაძართან მყოფი პრეზიდენტის განცხადება, რომ თურმე იუნესკო არის ის ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება მოისყიდო და გავლენა მოახდინო. ბაგრატის თემა ვრცელია. მშენებლობის შეჩერება-არშეჩერებისა და რეკონსტრუქცია-რესტავრაციის თემაზე ეს მინდა ვთქვა, – ასე გამოეხმაურა სააკაშვილის იუნესკოსადმი გაკეთებულ შეურაცხმყოფელ განცხადებას მაია ფანჯიკიძე.

პრესკონფერენციაზე ასევე საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობაში მიმდინარე ცვლილებებს. მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ სახეზეა სახელისუფლებო კრიზისი. თუმცა, ეს ცვლილებები ვერაფერს შეცვლის. თვალშისაცემი კი ის იყო, რომ ვანო მერაბიშვილმა სიტყვასიტყვით გაიმეორა „ქართული ოცნების" თემები და პრიორიტეტები და თავის პრიორიტეტებად გამოაცხადა.

მაია ფანჯიკიძის თქმით, აქამდე პრემიერ-მინისტრის თანამდებობა საპენსიო თანამდებობა იყო.

თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა და „ქართული ოცნების" კარდაკარის ხელმძღვანელმა ზაქარა ქუცნაშვილმა ჟურნალისტებს „ქართული ოცნების" კარდაკარის 7 დღის შედეგები გააცნო.

ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, 63 ოლქში ერთი კვირის წინ ერთდროულად დაიწყეს კარდაკარი. გუშინ კიდევ 2 ოლქში დაიწყეს კარდაკარი. კარდაკარის პროცესში „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს პრობლემები ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, გამგებლებისა და გამგეობის თანამშრომლებისაგან ექნებათ. ზაქარია ქუცნაშილის განცხადებით, ადგილი აქვს მუქარებს, რომ შეწყდეს კარდაკარი. ასევე არის ფაქტები, როცა „ქართული ოცნების" კარდაკარის ჩამტარებლებს პასპორტებს უხევენ და დოკუმენტებს უნადგურებენ. „ვაფრთხილებთ, ჩვენი წარმომადგენლებს დოკუმენტებს ნუ უნადგურებენ და საარჩევნო უბნის დოკუმენტების წართმევით და მისი განადგურებით თავს ნუ შეიწუხებენ, რადგან აზრი არ აქვს, ჩვენ ისევ დავუმზადებთ დოკუმენტებს და ისინი ისევ გააგრძელებენ კარდაკარს, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, თუ ოდესმე ჩატარდება გამოძიება საარჩევნო პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, პასუხს აგებენ ის გამგებლები და გამგეობის თანამშრომლები, რომლებიც ოცნების „კარდაკარის" პროცესს ხელს უშლიან. „ქართული ოცნების" კარდაკარში 8 ათასი ადამიანი მონაწილეობს.

# აღსრულების ბიურომ ბიძინა ივანიშვილის დაყადაღებული ქონება აუქციონზე გაიტანა

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის საქმეზე დაყადაღებული აქციები აუქციონზე გაიტანა.

ამის შესახებ აღსრულების ეროვნული ბიურო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, დღეს, ბიძინა ივანიშვილის აქციების 100%-ზე სს „ქართუ ჯგუფში" და აქციების 21.7%-ზე სს „პროგრეს ბანკში" აუქციონი გამოცხადდა.

სააღსრულებოში აცხადებენ, რომ ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი აღნიშნული აქციების შეფასება აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ განახორციელა.

ბიძინა ივანიშვილის აქციების 100%-ი სს „ქართუ ჯგუფში" ლევან სამხარაულის სა-



ხელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებული იქნა 151 880 661 ლარად, ხოლო აქციების 21.7%-ი სს „პროგრეს ბანკში" – 3 566 498 ლარად.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ცნობით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პირველ იძულებით საჯარო აუქციონზე განთავსებული ქონების საწყისი ფასია ექსპერტის მიერ დადგენილი საბაზრო ფასის 50%, შესაბამისად სს „ქართუ ჯგუფში" ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი აქციების 100%-ის საწყისი ფასია 75 940 330,50 ლარი, ხოლო სს „პროგრეს ბანკში" კუთვნილი აქციების 21.7% საწყისი ფასი – 1 783 249 ლარი.

„ასევე, გაცნობებთ, რომ მოვალის მიერ მასზე დაკისრებული თანხის გადახდის შემთხვევაში, უქმდება ყველა სააღსრულებო ღონისძიება, შესაბამისად, წყდება აუქციონის მიმდინარეობა და იხსნება ქონებაზე დადებული ყადაღა"– ნათქვამია განცხადებაში.

აღსრულების ეროვნულ ბიუროში აცხადებენ, რომ აღსრულების პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, სააღსრულებო სამსახური საზოგადოებას

დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის შესახებ.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2012 წლის 20 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, 26 ივნისს ყადაღა დაადო ბიძინა ივანიშვილის აქციების 100%-ს სს „ქართუ ჯგუფში", აქციების 100%-ს სს „ქართუ ბანკში" და აქციების 21.7%-ს სს „პროგრეს ბანკში".

ივანიშვილს სასამართლომ ამომრჩევლის მოსყიდვის მიზეზით დაახლოებით 75 მლნ ლარიანი ჯარიმა დააკისრა. ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ჯარიმა უკანონოა და მის გადახდას არ აპირებს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# პეტრე ცისკარიშვილი: მთავრობას ახალი სისხლი სჭირდებოდა“

თეა მარხვაიძე

**პრემიერ-მინისტრად ვანო მერაბიშვილის დანიშვნამ ერში დიდი ჟრიამული გამოიწვია. 30 ივნისიდან მოყოლებული ერი იმას არჩევს, დააწინაურეს თუ დააქვეითეს შს მინისტრი, რომელიც წლების მანძილზე ყველაზე პოპულარული და გავლენიანი მინისტრი იყო. ახლა ის პრემიერია და მის გარშემო ბევრი ქორი ტრიალებს.**

ხელისუფლების წარმომადგენლები მის დანიშვნას მიესალმებიან, ოპოზიცია კი რალაცების გარკვევას ცდილობს. მით უმეტეს, რომ მინისტრთა კაბინეტში სხვა ცვლილებებიც იქნება. სხვა თუ არაფერი შს მინისტრია მოსაძებნი. სწორედ ეს ამბავი აინტერესებს ყველაზე მეტად ოპოზიციას. ამ საკადრო ცვლილების მიმართ გულგრილნი არც ნაციონალებში არიან. ღიად კი მიესალმებიან მერაბიშვილის გაპრემიერებას, მაგარამ კაცმა არ იცის, მათ გულში რა ხდება. როგორც ამბობენ, ნაციონალების სამზარეულოში დიდი ალიაქოთია და სერიოზულ დაპირისპირებას აქვს ადგილი.

კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვანო მერაბიშვილი ახალ სამთავრობო პროგრამას და მთავრობის შემადგენლობას პარლამენტს გუშინ წარუდგენდა. წარდგენამ დააგვიანა.

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის განცხადებით, ახალი სამთავრობო პროგრამა ბიუროს დღევანდელ სხდომაზე დარეგისტრირდება. ბიუროს რიგგარეშე სხდომა დღეს გაიმართება.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მინისტრებისთვის ნდობის გამოცხადებაზეც ისაუბრეს. მართალია წინასწარ ცნობილია, რომ უმრავლესობა ახალ შემადგენლობას დაამტკიცებს, მაგრამ წესის დაცვა საჭიროა.

წესი კი ასეთია, ნდობის გამოცხადებამდე მინისტრობის კანდიდატებმა კომიტეტებსა და ფრაქციებში შეხვედრები უნდა გამართონ.

სპიკერმა ბაქრაძემ პარლამენტის იურიდიულ დეპარტამენტსა და საპარლამენტო მდივანს გრაფიკის დროულად შემუშავება სთხოვა.

— მთავრობის თხოვნაა, რომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოხდეს შეხვედრების ორგანიზება და სამთავრობო პროგრამის განხილვა, — აღნიშნა ბაქრაძემ.

დღეისთვის დაგეგმილ ბიუროს სხდომაზე საკითხის დაყენებას აპირებს ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“, რომელსაც ნუგზარ წიკლაური ბალალაიკას ეძახის. ჟურნალისტებთან საუბარში ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ ისინი მინისტრთა კაბინეტს ფრაქციის სხდომაზე იბარებენ.

— ფრაქციის სხდომაზე უნდა მობრძანდეს ბატონი მერაბიშვილი და ყველა მინისტრი და მათთან გავიაროთ ყველა საკითხი, რომელიც გვაინტერესებს. ესაა აბსოლუტურად ლეგიტიმური მოთხოვნა, რომელიც კანონიდან გამომდინარეობს. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი სამთავრობო პროგრამა ძველისგან მრავალჯერ გადაწერილი იქნება, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ცაგარეიშვილმა.

მან მერაბიშვილის გაპრემიერების მიზეზებზეც ისაუბრა. მისი აზრით, გაპრემიერებით მერაბიშვილმა დიდი პასუხისმგებლობა აიკიდა.

— მერაბიშვილმა პოლიციური ტერორი დაამყარა, ის მართავს ქვეყანას ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილს აწყობს, ამიტომ მოხდა მისი პოლიტიკური სტატუსისა და მდგომარეობის ფორმალიზება — ჩააბარეს არჩევნების მთელი სამზადისი და უშუალოდ მას აჰკიდეს პასუხისმგებლობა წინასაარჩევმო ვითარებაზე, რაც, ვფიქრობ, საშიშია. დარწმუნებული ვარ, მერაბიშვილი პრემიერის პოსტზეც ისე მოიქცევა, როგორც შს მინისტრად ყოფნის დროს, როცა მიტინგებს არბევდა, ხალხს იტაცებდა და მათ პირდაპირ ქუჩაში კლავდა, — ამბობს დეპუტატი.

მისგან განსხვავებული პოზიცია აქვს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილს. გულში რას ფიქრობს, ვერ გეტყვით, მაგრამ ღიად მერაბიშვილის გაპრემიერებას მიესალმება. ამასთან, არც ძველ მინისტრთა კაბინეტს უწუნებს მუშაობას.

— ქვეყანა გამოწვევების წინაშე დგას, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური კუთხით. ეს არის რთულად დასაძლევი საკითხები და ამის ფონზე პრემიერ-მინისტრად ვანო მერაბიშვილის წარდგენა პოზიტიური, დროული და კარგი ინიციატივაა. ის გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება ჩვენს ქვეყანას. რაც შეეხება ნიკა გილაურს, სამ წელიწადზე მეტი იმუშავა რთულ პერიოდში, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი გადალახა ისე, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა არ ჩამოშლილა, მაგრამ ახალი სისხლი, ახალი ენერგია, რომელსაც მერაბიშვილი შეიტანს მინისტრთა კაბინეტში, ძალიან მნიშვნელოვანია, — განუცხადა პეტრე ცისკარიშვილმა ჟურნალისტებს.

**ოპოზიცია ახალ მინისტრთა კაბინეტს უკვე პარლამენტში იბარებს**



ის დარწმუნებულია, რომ მერაბიშვილი ეკონომიკაში არსებულ ვითარებასაც კარგად გაართმევს თავს. ამაში მას თურმე ძველი გამოცდილება დაეხმარება.

— ვანო მერაბიშვილი ეკონომიკური კუთხითაც ძალიან გამოცდილი პიროვნებაა და ამ დარგისადმი ინტერესს ყოველთვის იჩენდა, — ამბობს ცისკარიშვილი.

ცნობისათვის 1999-2003 წლების მოწვევის პარლამენტში მერაბიშვილს დარგობრივი-ეკონიმიკის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

გუშინ ცნობილი გახდა ახალი მინისტრის ვინაობაც. შაბათს პრეზიდენტმა გვამცნო, რომ შეიქმნა ახალი პოსტი. ამიერიდან საქართველოს დასაქმების მინისტრი ეყოლება.

გუშინ ვანო მერაბიშვილმა დასაქმების სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატად ბიზნესმენი პაატა ტრაპაიძე წარადგინა, რომელიც ამ დრომდე კომპანია „კავკასუს როუდ პროჯექტის“ დირექტორი იყო.

მერაბიშვილის განცხადებით, პაატა ტრაპაიძე არასოდეს ყოფილა პოლიტიკაში ჩართული.

— მას დასაქმების დარგში დიდი გამოცდილება აქვს. აშენებული აქვს რამდენიმე ათეული და შეიძლება რამდენიმე ასეული კილომეტრი გზა, უამრავი ხიდი და გვირაბი. მან შექმნა სხვადასხვა ტიპის საწარმოები, მარტო ერთ საწარმოში საქართველოს 700 მოქალაქე დაასაქმა, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მისი თქმით, ტრაპაიძე და ახალი სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუშაობას უახლოეს დღეებში შეუდგება.

— უახლოეს დღეებში ჩამოყალიბდება კონცეფცია, შეიქმნება უმუშავერთა ბაზა და აღირიცხება საქართველოში ყველა უმუშევარი და ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა ვაკანსია. სამინისტრო დაეხმარება სამსახურის მაძიებელ ადამიანებს, — განმარტა ახალმა.

გუშინ გაირკვა, რომ დასაქმების მინისტრად ტრაპაიძის დასახელება უმრავლესობისთვის მოულოდნელობა იყო.

ალბათ, არ გიკვირთ მერაბიშვილმა უმრავლესობას, რომ არაფერი გააგებინა ახალი მინისტრის შესახებ. მერაბიშვილი არც სხვა კანდიდატურებს შეუთანხმებს უმრავლესობას.

უმრავლესობის ლიდერმა ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ ეს მოულოდნელობა იყო. მას არც იმის განმარტება დაზარებია, თუ რატომ იყო ეს მოულოდნელი.

— მოულოდნელი იმდენად იყო, რამდენადაც ტრაპაიძე პოლიტიკური ფიგურა არ არის და შესაძლოა, ვინმე ელოდა, რომ მაინცდამაინც პოლიტიკოსი უნდა ყოფილიყო ამ საკითხებზე პასუხისმგებელი. ასეთ პოსტზე თავისი ხიბლი პოლიტიკოსსაც აქვს, თუმცა, არანაკლებ მიზანშეწონილი გადაწყვეტილებაა, როდესაც ბიზნესიდან მოსული ადამიანი ინიშნება დასაქმების სახელმწიფო მინისტრად. მან უშუალოდ იცის, რა უჭირს ბიზნესსექტორს და სჭირდება იმისთვის, რომ მეტი ადამიანი დაასაქმოს და რა უჭირთ თვითონ ადამიანებს, რომ მოიპოვონ

სამუშაო ადგილები, — განაცხადა ცისკარიშვილმა.

დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნის გამო სახელმწიფო ბიუჯეტში ცვილებები შედის. ახალ აპარატს ბუნებრივია ხელფასები სჭირდება.

საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა და ამით ეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ პარამეტრებში არაფერი იცვლება.

— ეს არის ტექნიკური ცვლილებაა, რადგან მთავრობის ახალ კაბინეტში ახალი თანამდებობა შეიქმნება. ბუნებრივია, მას გარკვეული დაფინანსება სჭირდება, რათა მუშაობის და ფუნქციონირების საშუალება ჰქონდეს, — განაცხადა ბაქრაძემ.

რამდენით განისაზღვრება ახალი სახელმწიფო აპარატის ბიუჯეტი, ჯერ არ არის ცნობილი. სამაგიეროდ ცნობილია ის დაპირებები, რომელიც მერაბიშვილმა ერისთვის მოამზადა. გუშინ მან პრემიერის რანგში პირველი საჯარო განცხადება გააკეთა.

მერაბიშვილის განცხადებით, მათი მთავარი პრიორიტეტი სოფლის მხარდაჭერა იქნება და ამ მიზნით საქართველოს სოფლის განვითარებაში 4 მილიარდი ლარის ჩადებას აპირებენ.

გლდანში გამართულ ღონისძიებაზე მერაბიშვილმა პირობა დადო, რომ სოფელი საქართველოს გაძლიერების საფუძველი გახდება.

— ვდებ პირობას, რომ ყველა სოფელში იქნება წყალი. ვდებ პირობას, რომ დასრულდება გაზიფიკაციის ყველა პროექტი. ვდებ პირობას, რომ ყველა სოფელში შევა შესაბამისი ხარისხის გზა. ვდებ პირობას, რომ ყველა სოფელში იქნება ინტერნეტი, — აღნიშნა მერაბიშვილმა.

მისი თქმით, მთავრობა აპირებს, დამატებით 2 ათასი ტრაქტორი, კომბაინი და სხვა აგრეგატი შეიძინოს, რათა თითოეულ გლეხს ხელი მიუწვდებოდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე.

— ჩვენ ვაპირებთ მინიმუმ 500 სასოფლო-სამეურნეო საწარმოს აშენებას ან ხელის შეწყობას მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ჩემი ამოცანაა, რომ საქართველოში მინიმუმ 90 ათასი ჰექტარი მიწა დამატებით იქნეს მორწყული და გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. დასავლეთ საქართველოში ჩვენ ვაპირებთ მინიმუმ 35 ათასი ჰექტარი მიწა გამოვტაცოთ ჭაობს და გავხადოთ ხელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის. ჩემი ამოცანა და მიზანია მომდევნო 4 წლის განმავლობაში გავაორმაგოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა. ჩვენ თუ შევძელით ეს, მივიღებთ იმას, რომ ქართველი გლეხი გაძლიერდება, რაც გამოიწვევს ქართული სოფლის გაძლიერებას, ხოლო ქართული სოფლის გაძლიერება ქალაქის და სახელემწიფოს გაძლიერების საფუძველია, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მისი ინიციატივით, მომავალი წლიდან ყველა ქართულ ოჯახს 1000-ლარიანი ვაუჩერი გადაეცემა.

— ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ თითოეულ ქართულ ოჯახს შევუმსუბუქოთ სოციალური მდგომარეობა. მე გამოვდივარ ახალი ინიციატივით, ახალი მთავრობის პროექტში ჩადებულია ვალდებულება, რომ მომავალი წლიდან თითოეულ ქართულ ოჯახს გადავცემთ 4 წელზე გაწერილ 1000-ლარიან ვაუჩერს. — განაცხადა მერაბიშვილმა.

მისი განმარტებით, მთავრობა ამით ოჯახებს მისცემს შესაძლებლობას, თავად მიიღონ გადაწყვეტილება, რა პრობლემის მოგვარებაში გამოიყენებენ ამ თანხას.

— ჩვენ გვაქვს წინადადება, რომ ათასლარიანი ვაუჩერით საქართველოს მოქალაქეებს შეეძლოთ დენის, გაზის, წყლის ან სხვა კომუნალური გადასახადების გადახდა, მედიკამენტების შეძენა, ბავშვებისთვის სკოლის სახელმძღვანელოების შეძენა. გლეხებმა შეძლონ სასუქების, საწვავის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, რათა ნებისმიერ დროს ადამიანს ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ თუ მას გარკვეულ მომენტში დაუდგა პრობლემა, რომელიც არ არის ასახული ჩვენი მთავრობის საერთო გეგმაში, ამ პრობლემას მოაგვარებს, — აღნიშნა მერაბიშვილმა.



### რატომ გადაწყვიტა მომღერალმა პოლიტიკაში წასვლა

# გიორგი ჩიტაური: ქართული ოცნება თიანეთში არჩევნებს ვერ მოიგებს“

თეა მარხვაიძე

**„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ხალხური სიმღერების შემსრულებელი გიორგი ჩიტაური პოლიტიკაში მიდის. ის კენჭს მშობლიურ თიანეთის რაიონში იყრის. მას ლეიბორისტული პარტია წარადგენს. მისი კონკურენტი თიანეთში ქართული ოცნებიდან ზაქარია ქუცნაშვილი იქნება.**



მომღერლების, მოცეკვავეების და სპორტსმენების წილი ქართულ პოლიტიკაში ბოლო დროს სერიოზულად გაიზარდა. რატომ მიდიან მომღერლები პოლიტიკაში და რა უნდა აკეთონ მათ იქ, ამის გარკვევას „ახალი თაობა“ გიორგი ჩიტაურთან შეეცადა, რომელსაც ოპოზიციის მხარდაჭერის გამო ერთხელ უკვე მოუწია პოლიტიკურ ემიგრაციაში წასვლამ.

***– რატომ გადაწყვიტეთ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. რატომ გგონიათ, რომ თქვენი ადგილი არის პოლიტიკაში?***

– იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემს სფეროს ყურადღება მივაქციო. დღეს საქართველოში ძალიან პოპულარულია ფოლკლორი. მე მყავს მეგობრები, რომლებიც ამ სიმღერებს მღერიან და მათ მთელი საქართველო პატივს სცემს. ამის მიუხედავად, მათ ყურადღებას არავინ არ აქცევს. ფოლკლორს კი დაცვა სჭირდება.

***– გინდათ თქვათ, რომ ფოლკლორის დასაცავად მოდიხართ პარლამენტში?***

– ამ მიმდინარეობას დაცვა ნამდვილად სჭირდება. ამ ჟანრის მომღერლებს რომ ვურეკავ და ვეუბნები, გამოდი რეპეტიციაზე, მპასუხობს, დღეს ფული არა მაქვს და ვერ გამოვალ. არადა, მთელი საქართველო მათ სიმღერებზე აფანატებს. ეს ხალხი არის მშიერი. საქართველოში ფოლკლორი არ არის დაფასებული. ამიტომ მინდა მოსვლა პოლიტიკაში. იქნებ ის მაინც გავაკეთო, რომ ამ ხალხს ელემენტარული გზის ფული ჰქონდეს.

***– გზის ფული როგორ უნდა მისცეთ ამ ადამიანებს პარლამენტში მოსვლით. საკუთარ ხელფასს გაუნაწილებთ თუ რას იზამთ?***

– რატომაც არა. დიახაც, გავუნაწილებ ჩემს ხელფასს ჩემს მეგობრებს.

***– ეს ამომრჩევლის მოსყიდვად არ ჩაგეთვალოთ.***

– რა ამომრჩევლის მოსყიდვა? სადა მაქვს მაგის ფული. ვამბობ, რომ ამ ხალხს ფული არა აქვს და მათ მიხედვა სჭირდება. ფოლკლორის გარშემო არსებული ვითარება უნდა შეიცვალოს. ვითარება რომ შეიცვალოს, ამისთვის კანონია საჭირო. კანონი კი ვიღაცამ უნდა წარადგინოს. აი, სწორედ ამიტომ მინდა პარლამენტში მოხვედრა. ფოლკლორის გარდა გული მტკივა ჩემს რაიონზე. თიანეთში ძალიან ბევრი რამე არასწორად კეთდება. იქ არის უსამართლობა. ეს უსამართლობა საკუთარ თავზე გამოვცადე. იმის გამო, რომ 2010 წელს მხარს ვუჭერდი ოპოზიციას, საქართველოდან მომიწია წასვლამ. მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, სიმღერა. პოლიტიკაში სწორედ იმიტომ მივდივარ, რომ მომღერლებს აღარ უჭირდეს. მინდა, რომ ხალხს სიხარული მოვუტანო.

***– სიხარულის მოტანა თუ გინდათ, არ ჯობია, ისევ იმღეროთ. საზოგადოებაში საკმაოდ პოპულარულია თქვენი „აყვავებულა არაგვზე დეკა“. გგონიათ, რომ ხალხს თქვენი პოლიტიკური გამოსვლა უფრო მოეწონება?***

– სიმღერით ისევ ვიმღერებ, მაგრამ პოლიტიკური განცხადებაც საჭიროა. საჭიროა იმიტომ, რომ თიანეთს ვიღაცამ ყურადღება მიაქციოს.

***– და გგონიათ, რომ თქვენ მიაქცევინებთ ყურადღებას?***

– არ გავჩერდები, მიაქცევენ, აბა, რას იზამენ. თანაც ამაში მხარს დამიჭერენ ლეიბორისტები.

***– რატომ აირჩიეთ ლეიბორისტები, ფოლკლორს უჭერდნენ მხარს თუ რა იყო?***

– იმიტომ, რომ დაბადებიდანვე ლეიბორისტი ვარ.

***– ეგ როგორ?***

– ბიძაჩემი იყო ამ პარტიაში და ბავშვობიდან სულ ლეიბორისტებს ვხედავდი. თან ძალიან მომწონდა ამათი გამოსვლები. მთავარი კი ისაა, რომ ვიცი, შალვა ნათელაშვილს თავისი კუთხე და თავისი სამშობლო ძალიან უყვარს.

***– სამშობლო ყველას უყვარს.***

– ყველას არ უყვარს. თანაც შალვა ნათელაშვილი არის მთიული კაცი, ის დააფასებს მთას და ფოლკლორს.

***– რაღაც ისე ლაპარაკობთ, შეიძლება ცოტა ხანში დეკას მაგივრად აყვავებულა ლეიბორიზმი იმღეროთ.***

– რატომაც არა. სიმღერებს ვიმღერებ, მაგრამ მარტო სიმღერით ჩემს რაიონს ვერ ვუშველი.

***– ისე, თავიდან ამბობდნენ, რომ თითქოს თქვენ ქართულ ოცნებასთან იყავით ჩახუტებული.***

– ეს არის ტყუილი. ეს არის შეგნებულად გავრცელებული ჭორი.

***– ჭორი ისე არასდროს ვრცელდება***

– მოდით, პირდაპირ ვიტყვი, ქართული ოცნება ცდილობდა ჩემს გადაბირებას.

***– როდის ცდილობდა?***

– თიანეთი პატარა რაიონია და ხმები მალე ვრცელდება. ბუნებრივია, მაგათაც გაიგეს, რომ კენჭის ყრას ვაპირებდი ლეიბორისტებიდან. დაიწყეს ხალხის გამოგზავნა. თავადაც მოდიოდნენ. ერთ-ერთ შეხვედრაზე 10 ათასი ლარი დამიდეს.

***– რას ნიშნავს 10 ათასი ლარი დაგიდეს?***

– დამიდეს ეს ფული და მოთხოვნა წამომიყენეს.

***– რა მოთხოვნა?***

– დავმდგარიყავი მაგათ გვერდით. არ მეყარა კენჭი და ყველაფერი იქნებოდა კარგად. მე ამაზე უარი ვთქვი. ქართულ ოცნებას გვერდით არასდროს დავუდგები. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ვნახე, როგორი ხალხი შემოიკრიბეს გარშემო. მე თიანეთის მკვიდრი ვარ და კარგად მახსოვს, როგორი დეპუტატებიც იყვნენ ესენი.

***– ვისზე საუბრობთ?***

– თამაზ მეჭიაურზე და ზაქრო ქუცნაშვილზე. ორივე იყო პარლამენტში, მაგრამ თიანეთისთვის არაფერი არ გაუკეთებიათ. ეს ხალხმა ძალიან კარგად იცის. ფული შეიძლება ბევრი აქვთ, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

***– მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და არჩევნებს დაველოდოთ.***

– დაველოდოთ, მაგრამ გეუბნებით, რომ ხალხი მაგათ პატივს არ სცემს. თუ ჰგონიათ, რომ ბერა ივანიშვილის სიმღერით მოულბობენ ხალხს გულს, ძალიან ცდებიან.

***– ბერას სიმღერებს რაღას ერჩით?***

– მაგ ბავშვს არაფერს ვერჩი. მაგრამ არ შეიძლება საქართველოში ასეთი სიმღერების სიმღერა. რა რეპი, როცა ასეთი ქართული სიმღერები გვაქვს.

***– რეპი ძალიან ბევრს მოსწონს საქართველოში.***

– მე ასეთი ბევრი ხალხი ვერ ვნახე.

***– ამით რისი თქმა გინდათ, რომ თქვენი სიმღერები უფრო მოსწონს ხალხს?***

– ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ძალიან ბევრს მოსწონს. მე არ ვამბობ, რომ ამით არჩევნებს მოვიგებ, მაგრამ ბევრი გულშემატკივარი მყავს. და მართლა მინდა, რომ ჩემი რაიონისთვის და ფოლკლორისთვის რაიმე გავაკეთო. სამწუხაროდ, წინა დეპუტატებმა რაიონისთვის არაფერი გააკეთეს. მე არ მინდა ასეთი დეპუტატი ვიყო. მე ვიცი რაც უჭირს ამ ხალხს.

***– შეიძლება იცით, რა უჭირს ამ ხალხს, მაგრამ მათი პრობლემების მოსაგვარებლად მარტო ამის ცოდნა საკმარისი არ არის.***

– ვიცი, რომ ეს საკმარისი არ არის, მაგრამ გამუდმებით ამ თემაზე გაკეთდება აქცენტი. არ შეიძლება რაიონის პრობლემების დამალვა. ქუცნაშვილი ახლა რომ აპირებს თიანეთის გულის მოგებას, აქამდე რატომ არ ახსოვდა ეს მხარე. არ შეიძლება მარტო არჩევნების დროს გაგახსენდეს შენი მშობლიური მხარე. ხალხი ამას კარგად იმახსოვრებს. თიანეთში მათ ხმას არავინ მისცემს.

# ამერიკა სააკაშვილის გადასარჩენად ხელს აღარ გაანძრევს

თამარ ნინიძე

**ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი კობახიძესთან**

***– გავრცელებული ვერსიით, პრემიერ-მინისტრად მერაბიშვილის დანიშვნა იყო ვიღაცის ამბიციების მოთოკვის მცდელობა, მაგალითად, ადეიშვილისა. როგორია თქვენი მოსაზრება ამის თაობაზე?***

– ამ ვერსიას ძირითად ნაწილში არ დავეთანხმები, დისკომფორტი და კომფორტი მხოლოდ სააკაშვილის პრეროგატივაა დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებაში. მას თუ აქვს ვინმესადმი დისკომფორტი, მხოლოდ და მხოლოდ ეს შეიძლება იქცეს ნებისმიერი საკადრო ცვლილების და გადაწყვეტილების მიზეზად. ვერც ადეიშვილი და ვერც სხვა ამაზე გავლენას ვერ მოახდენს. ვეთანხმები იმ ნაწილში ამ ვერსიას, რომ დისკომფორტი მართლაც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ სააკაშვილს ეხება და მის მდგომარეობას. დიქტატორებს არ უყვართ, როცა ადამიანები, რა დიდი ნდობითაც უნდა იყვნენ ისინი აღჭურვილი, ხანგრძლივად არიან ერთ პოზიციაში და ავტორიტეტს იხვეჭენ იმ უწყებაში, სადაც ისინი საქმიანობენ. დიქტატორის თვისებაა, რომ ქვეყანაში არავინ არ უნდა გაძლიერდეს და მყარად არავინ უნდა გრძნობდეს თავს, გარდა თავად დიქტატორისა. მარკესმა თავის ცნობილ რომანში „პატრიარქის შემოდგომა“ მშვენივრად გაანალიზა ეს პრობლემა.

***– თქვენი აზრით, ეს მერაბიშვილის დაწინაურებაა თუ მისი გავლენის შესუსტების მცდელობა?***

– სამშაბათამდე გვაქვს ვერსიების გამოთქმის საშუალება, ეს არ არის დაწინაურება, რეალურად მერაბიშვილი ისედაც იყო მეორე პირი ქვეყანაში. ასეთი რეჟიმის პირობებში დიქტატორულ სახელმწიფოებში სტატუსს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მეორე კაცის როლი ვანო მერაბიშვილს ჰქონდა გადაცემული, რაც ეს ხელისუფლება არსებობს. მერაბიშვილს სხვა მინისტრებზე ზემოქმედების ბერკეტი აქამდეც ჰქონდა. თუ შსს-ში პირველ პირად მოვა ადამიანი, რომელსაც მხოლოდ სააკაშვილთან ექნება პასუხისმგებლობა, ამ შემთხვევაში მერაბიშვილი იქნება დასუსტებული პოლიტიკური ფიგურა. შეიძლება მეორე ვერსიაც განიხილებოდეს, რომ ამ სამინისტროში პირველ პირად მოგვევლინოს მერაბიშვილის რომელიმე მოადგილე. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ მერაბიშვილი ისევ იქნება რეალური შინაგან საქმეთა მინისტრი და ამავდროულად ფორმალური უფლებები გამყარდება მთავრობაშიც.




***– ან ეს არის მერაბიშვილის დაწინაურება და პოლიტიკურ კარიერაში ტრამპლინი, ან სააკაშვილს უნდოდა, რომ ის პოლიციას ჩამოშორებოდა, ეს ვარაუდი ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა.***

– შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მერაბიშვილის ან ნებისმიერი სხვა პიროვნების კანდიდატურა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პრემიერ-მინისტრისა სამომავლოდ არჩევნების შემდეგ. ამ აზრს სააკაშვილს თავიდან ვერავინ ამოუგდებს, სანამ მას არ გაუვა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მერაბიშვილს ამზადებდეს სიის პირველ ნომრად, მაგრამ ესეც დასუსტებაა მერაბიშვილისა.

***– მაგრამ, ხომ შეიძლება, არჩევნების შემდეგ თუ ნაციონალები მოვლენ საკონსტიტუციო უმრავლესობით პარლამენტში, ხელახლა წარადგინონ მერაბიშვილი პრემიერად?***

– საუბარია იმაზე, ვინ იქნება სააკაშვილის ვადის გასვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრი. თუ მოვა შსს-ში მერაბიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასე მოხდეს.

***– რამდენად გამოუვა, არ ვიცი, მაგრამ მერაბიშვილმა ამ სამ თვეში უნდა დაამტკიცოს, რომ ეფექტური პრემიერ-მინისტრია, ანუ დამსახურებულად აღმოჩნდა ამ პოსტზე. როგორ ფიქრობთ, მას ექნება საშუალება, რომ ამ დარჩენილ დროში არჩევნებამდე კარდინალური ცვლილებები მოახდინოს, რათა თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს თავის თავზე სასიკეთო ცვლილებები?***

– მთავრობა დღეს არის მკვდარი ორგანო, როგორც აღმშენებელი და დოვლათის შემქმნელი ორგანო. ერთადერთი ფუნქცია დარჩა, რომ როგორმე უზრუნველყოს ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება არჩევნებში. ამისთვის მუშაობს სამად-სამი სტრუქტურა: შსს, რომელსაც აკრძალული წესებით მართავდა მერაბიშვილი, კონტროლის პალატის სამსახური პარტიების მონიტორინგის შესახებ, ასევე სამთავიანი გველეშაპი რუსთავი-2-ის, იმედისა და პირველი არხის სახით. ამ ყველაფერს სააკაშვილის ნებით აკონტროლებდა მერაბიშვილი. რა თქმა უნდა, გარკვეული ფუნქციები ამ კუთხით ადეიშვილსაც აქვს, მაგრამ განუზომლად დიდი იყო მერაბიშვილის ფუნქციები. ოქტომბრის შემდეგ სხვა სივრცესა და სხვა რეალობაში აღმოჩნდებიან ნაციონალები, მაგრამ ისინი თავისსას ფიქრობენ.

***– რესპუბლიკელმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მერაბიშვილი არის ოცდამეერთე საუკუნის ბერია. ეს საკადრო ცვლილება კი ემსახურება წინასაარჩევნო პერიოდში ხალხის კიდევ უფრო დაშინებას. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– დიქტატორული მართვის სქემა არის მუდმივი. სტალინი-ბერიას ტანდემი ნებისმიერ სახელმწიფოში, ნებისმიერ დროში განმეორებადია. ეფექტურობა ბევრ რამეზეა დამოკიდებული. საქართველოს ტიპის ქვეყანაში ამას დიდი დღე არ უწერია. დიქტატორი მიდის იქით, რომ მარადიული მმართველობა ჩამოაყალიბოს, მაგრამ სააკაშვილის უნარიდან გამომდინარე, ეს გეგმა რეალობაში შეუსრულებადია.

***– საქართველო არ არის ისეთი ჩაკეტილი ქვეყანა, როგორც ბელორუსი, რომ აქ დიქტატორი ყველაფერს ისე აკეთებდეს, როგორც მას უნდა. გარედან სააკაშვილს შეიძლება აკონტროლებდნენ?***

– საქართველოს „პრობლემა“, ბელორუსისგან განსხვავებით, ის არის, რომ ერთს ამბობს სააკაშვილი და სხვას ფიქრობს, ლუკაშენკო არის გამოცხადებული დიქტატორი და ამას არც მალავს. სააკაშვილი ამბობს, რომ არის დემოკრატიის ბურჯი ამ რეგიონში, ამბობს, რომ დასავლური ორიენტაციის, დასავლეთის მეგობარი, სინამდვილეში კი პირსისხლიანი მმართველია, მისი დანაშაულებების რიცხვი ძალიან გრძელია და ძალიან მძიმეა. შარშანდელი 26 მაისის შემდეგ, გამოცხადებული დიქტატორია, ასეთ სადამსჯელო აქციებს ლუკაშენკო ვერ ატარებს.

***– არსებობს ასეთი ვარაუდი, რომ მოხდა მცირე სახელმწიფო გადატრიალება, ბევრი მითქმა-მოთქმაა სააკაშვილის ავადმყოფობაზე, მის ქმედითუუნარობაზე, უნდა მოსულიყო ძლიერი ფიგურა, ისეთი, როგორიც თავის დროზე იყო ჟვანია, რომ აეღო ხელში მართვის სადავეები. ეთანხმებით ამ ვერსიას, რომ დღის წესრიგში დადგა საკითხი სააკაშვილის ჩამოშორების თაობაზე ძალაუფლებისგან?***

– მეც განვიხილავ ამ გადაადგილებას, როგორც შინაგან გადატრიალებას მთავრობაში, რადგან მეორე პირის დაბალანსება ხდება. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ნდობის ხარისხი დაბლა იწევს. სააკაშვილის თვითგადარჩენის ინსტინქტი გაძლიერდა. სრულიად უშინაარსო ღონისძიებებს ატარებს, მთავარია, ამ ენერგიას აჩვენებდეს საზოგადოებას და პირველ რიგში, თავის გარემოცვას. მერაბიშვილი მის კონტროლშია, მაგრამ ეჭვები მაინც გაუჩნდა. გავლენა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ნანა კაკაბაძე: საააკაშვილი მერაბიშვილს აღარ ენდობა“

## რა საფრთხეს უქმნიან რესპუბლიკელები ივანიშვილს

ნონა ცაბაძე

**ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებამ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გაჩნდა უამრავი ვერსია. ნაწილი მიიჩნევს, რომ მერაბიშვილი უმტკივნეულოდ ჩამოაქვეითა სააკაშვილმა, რადგან, ის არ აღმოჩნდა ყველაფერზე წამსვლელი, ნაწილს კი პირიქით მიაჩნია, რომ მისი ძალაუფლება უსაზღვროდ გაიზარდა. ვერსია ბევრნაირია, ერთ-ერთი ვერსიით, ვანოს ივანიშვილის მიმართ სიმპათიები გაუჩნდა და მისი უმტკივნეულოდ განეიტრალება დაიწყესო. მოკლედ, ჭორი ბევრია, თუმცა რომელია აქედან სიმართლე, ალბათ, ორიოდე თვეში გაირკვევა.**

„ახალ თაობასთან“ საკუთარ მოსაზრებებს ნანა კაკაბაძე და ირინა სარიშვილიც გამოთქვამენ.

**ნანა კაკაბაძე:**

***– ქალბატონო ნანა, რა მესიჯი იყო საზოგადოებისათვის ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა?***

– მე გეტყვით, თუ როგორი აღქმა ჰქონდა ამაზე საზოგადოებას. ნაწილის განწყობა იყო ასეთი, რომ ვანო მერაბიშვილს არ ენდობა სააკაშვილი და პირდაპირ მისი განთავისუფლება ან დაბალი თანამდებობის შეთავაზება ეჭვს გამოიწვევდა საზოგადოებაში, რომ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს შორის არსებობს უთანხმოება. ამიტომ მისცეს ის ადგილი, რომელიც ფაქტიურად, თქვენც იცით, დღეს პრემიერ-მინისტრი რასაც წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში. ერთი მხრივ, იყო ასეთი აღქმა, რომ ის მას არ ენდობა და მეორე მხრივ, რომ სააკაშვილი აძლიერებს ძალოვან უწყებებს და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ყველაფერს უქვემდებარებს ვანო მერაბიშვილს. აი, ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებია საზოგადოებაში. უფრო მეტად ის არის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩააბარებენ უფრო ისეთ ადამიანს, რომელიც გაცილებით უარესის გამკეთებელი შეიძლება იყოს, ვიდრე ვანო მერაბიშვილი.

***– სხვათა შორის, ამ ვერსიაზე უფრო მეტს საუბრობენ, რომ ის ჩამოაქვეითეს, ვიდრე დააწინაურეს, რადგან ის არ არის ყველაფერზე წამსვლელიო...***

– ფაქტია, რომ არჩევნების წინ ასეთი ცვლილებები მიანიშნებს იმას, რომ შიგნით გუნდში ყველაფერი არ არის ისე, როგორც ეს გარეგნულად ჩანს, უფრო ზუსტად, უნდათ, რომ გამოაჩინონ.



***– იმ შემთხვევაში, თუ აძლიერებს მერაბიშვილს, რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ?***

– გაძლიერება ვანო მერაბიშვილის ხელშიც შესაძლებელი იყო, მაგრამ აქ იყო პრემიერ-მინისტრის პრობლემა, რომ პრემიერ-მინისტრი უნდოდათ უფრო სხვა ფიგურა, უფრო ძლიერი ფიგურა. შეიძლებოდა პრემიერის შეცვლა, მაგრამ, როდესაც ვანო მერაბიშვილით იცვლება პრემიერ-მინისტრი, ბუნებრივია, უფრო მეტი ალბათობა რჩება იმისა, რომ აქ არის გარკვეულად უნდობლობის მომენტი. როდესაც პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყნის ხერხემალი არის შინაგან საქმეთა მინისტრი და ამ ხერხემალს თავს აცლის და სხვაგან გადაჰყავს, ესე იგი ის, რასაც ეყრდნობა და რასაც თვითონ მიიჩნევს თავის საყრდენად, სწორედ იმას არ ენდობა მერაბიშვილს. პირადად მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. თუმცა, ხომ გითხარით, საზოგადოებაში ეს ორი პოზიცია არსებობს.

***– რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრის ვაკანტურ ადგილს, საუბარია, რომ ამ თანამდებობას ბაჩო ახალაია დაიკავებს, ხოლო თავდაცვის მინისტრი გიგა ბოკერია გახდებაო...***

– ახალაია რომ გაცილებით უფრო ყველაფერზეა წამსვლელი და არ გააჩნია არაფერში „ტორმუზი“, ეს პენიტენციალური დეპარტამენტის თავმჯდომარეობის დროსაც აჩვენა მან. თუნდაც იგივე თავდაცვაშიც, თქვენ იცით, როგორი შეუთავსებლობა აქვს ჯარს მის მიმართ. მანამდეც, თუ გახსოვთ, ბასილ მკალავიშვილის ეკლესიის დარბევის დროსაც ყველაზე აქტიურები სწორედ ძმები ახალაიები იყვნენ. სისასტიკითა და დაუნდობლობით გამორჩეული ფიგურა ჰყავთ თავიანთ გუნდში და როდესაც ასეთ არჩევანს აკეთებს პრეზიდენტი, თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ...

***– ცუდისთვის ემზადება?***

– ემზადება, მაგრამ რამდენად გამოუვა, არ გამოუვა, შეძლებს, არ შეძლებს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი მზადყოფნაა და ამის სურვილი აქვთ.

***– ეს საზოგადოების დაშინების მცდელობაც ხომ არ არის?***

– რასაკვირველია, შეშინების მცდელობაც არის და იმის ნიშანიც არის, რომ ის ყველაფერზეა წამსვლელი ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

***– შეიარაღებულ დაპირისპირებაზეც?***

– თავისთავად ასეთი ცვლილება, აბა, სხვა რის ნიშანი უნდა იყოს? რა გაძლიერება სჭირდებოდა პოლიციას და რატომ იყო საჭირო ყველაფერზე და ყველანაირ სისასტიკეზე წამსვლელი ადამიანი დაენიშნათ თავმჯდომარედ. ასე ადვილად ველარ მოახერხებენ მოსახლეობის დაშინებას, ეს ძირითადად რეგიონებზეა გათვლილი, მაგრამ ეს შიში იქაც გატყდა. რაც მთავარია, ინფორმაცია შევიდა ხალხში. აი, ამ გლობალტივის ანტენების დაყენების მერე, მიუხედავად იმისა, რომ ომი გამოუცხადა ხელისუფლებამ, რეგიონებში მაინც გაჟონა ამ ინფორმაციამ და ამან აბსოლუტურად შეცვალა სიტუაცია. მე თვითონ მესმის ხოლმე, რეგიონებში როცა იძახიან, რომ ეს სად ვცხოვრობდით და ეს რა რეალობა დავინახეთო. ამანაც ძალიან სერიოზული როლი შეასრულა. ასე რომ, სიტუაცია მართლაც გატეხილი და შეცვლილია. რაიონებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ ოცნების მაისურებში ჩაცმული ადამიანები, რომლებიც ღიად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას და მათი სიმრავლე თვალში საცემია. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ხალხს აღარ სურს ამ მონობასა და ტყვეობაში ყოფნა და ეს არის პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ. ასევე, ეს არის სურვილი იმისა, რომ ეს ყველაფერი შეიცვალოს. აი, ამის დემონსტრირებას ხალხი უკვე ახდენს. ის მიტინგებიც, რომლებიც რეგიონებში ტარდება, ესეც ზუსტად ამის მაჩვენებელია, რომ ხალხს უკვე ამისი ატანა აღარ შეუძლია, აღარ სურს და მას უკვე დასაკარგი არაფერი აქვს. ეს ორივე ამის მაჩვენებელია. ეს ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ქმნის იმ სურათს, რაც დღეს ქვეყანაშია შექმნილი. ერთ მხარეზეა მოძალადე ხელისუფლება და მეორე მხარეზე დგას ხალხი, რომლებსაც ამ ძალადობისგან გათავისუფლება უნდა. ეს საკადრო ცვლილებები ამ განწყობებს ნამდვილად ველარ შეცვლის, სულ რომ ურჩხულები და ხუთთავიანი დევები დანიშნოს იქ, მაინც აღარაფერი უშველის. ასე ვთქვათ, ეს უკვე მოხდა, ხალხმა გამოიღვიძა.

**ირინა სარიშვილი:**

– მე ორი ვერსია შემიძლია გამოვთქვა, ერთი ნაკლებად სავარაუდო და მეორე უფრო რეალური. თავიდანვე ვიტყვი, რომ ორივე შემთხვევაში, ეს ერთმნიშვნელოვნად პირადად ჩემთვის ნიშნავს დადასტურებას იმისას, რომ სააკაშვილი არჩევნების მისთვის არასასურველი შედეგით დასრულების ან არასასურველი პროცესების განვითარების შემთხვევაში, ფაქტიურად სამოქალაქო დაპირისპირებაზე და სისხლის ღვრაზე აწერს ხელს. ეს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა და რატომ? მე, რა თქმა უნდა, არ ვთვლი არც ერთი წუთი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყვანა პრემიერ-მინისტრად, მისი დაწინაურებაა. ეს საკენკი, უფრო გარკვეული მასისთვის არის. ეს, რა თქმა უნდა, არის ვანო მერაბიშვილის ან დასუსტება და ამ შემთხვევაში გამოდის, რომ სააკაშვილს არა აქვს ვანო მერაბიშვილის იმედი ბოლომდე, რომ ის მის ბრძანებებს შეასრულებს, რაც ჩემთვის ცოტა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ამ ვერსიის არსებობა დასაშვებია და მეორე, უფრო მეტად დამჯერებელი ვერსია ჩემთვის არის ის, რომ ვანო მერაბიშვილი მოარიდეს, უფრო ზუსტად, შეინახეს ახლო მომავლისთვის. ის მოარიდეს იმ პოსტს, რომელმაც უშუალოდ უნდა შეასრულოს ძალიან არაპოპულარული ბრძანებები სააკაშვილის, თუ მას ეს დასჭირდება და იმისათვის, რომ ეს არ დაუკავშირდეს ვანო მერაბიშვილის სახელსა და გვარს, რომელსაც, როგორც ჩანს, გარკვეულ კარიერას უმზადებენ. ამისათვის ის არის გარიდებული ამ ადგილიდან და ხმები, რომელიც დაიყრება, რომ ვანოს არ უნდოდა შესრულება მიშას ბრძანებების, ეს კიდევ უფრო გაზრდის ვანო მერაბიშვილისთვის საფუძველს სამომავლო კარიერისთვის. ერთ შემთხვევაში ეს არის დასუსტება ვანო მერაბიშვილის, ხოლო მეორე შემთხვევაში, ეს არის ვანო მერაბიშვილის გარიდება არასასურველი პროცესებისგან, რათა მისი კარიერა წარმატებული იყოს.

***– შეინახეს იმისთვის, რომ ის იქნება ქვეყნის პირველი პირი სამომავლოდ?***

– მე ამ შემთხვევაში მის პირველპირობაზე არ ვფიქრობ, მაგრამ ფაქტია, რომ ნაციონალები არც მიშა სააკაშვილთან და არც ვანო მერაბიშვილთან გამომშვიდობებას არ აპირებენ. ის 65%, რომელიც მათ დაგეგმილი აქვთ, დაახლოებით მომავალ პარლამენტში, სწორედ ამისთვის სჭირდებათ, რომ აქ ლაპარაკი იყოს არა უბრალოდ ნაციონალურ მასაზე, არამედ იმ კონკრეტულ ფიგურებზე, რომლებიც ქვეყნის შიგნით საკმაოდ ძლიერად არიან დღეს ფესვგადგმული. მე სახელმწიფო სტრუქტურებს ვგულისხმობ. ის შესაძლო სამოქალაქო დაპირისპირება, რაზეც გესაუბრეთ, ძალიან დიდი განხილვის თემა უნდა გახდეს ივანიშვილისთვის.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ თუ ბიძინა ივანიშვილმა, ამ შემთხვევაში ქართულ ოცნებაში თავისუფლების ინსტიტუტის მინარევებს ვგულისხმობ, ვიდრე კონკრეტულად მას და ესენი არიან რესპუბლიკელები. თუ ბიძინა ივანიშვილი მათგან არ გათავისუფლდა, არჩევნების გაყალბებით დასრულების შემთხვევაში და ამას კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს არჩევნები გაყალბდება. ბიძინა ივანიშვილს დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს წინააღმდეგობის გაწევის, პოლიტიკურ სახეს მოაშორებენ ამას რესპუბლიკელები და ჩაჯდებიან გარიგების სქემაში. მათი ტონი ასეთი იქნება, რომ ჩვენ ან უნდა დავყაბულდეთ ამ მცირედ გამარჯვებას, ან სამოქალაქო დაპირისპირება გვაქვს წინ. ამ შემთხვევაში კი მივიღებთ 65% ნაციონალებისას პარლამენტში და, შესაბამისად, დავიტოვებთ ვანო მერაბიშვილსაც და მიშა სააკაშვილსაც. ხოლო თუ ბიძინა ივანიშვილი ამ გამრიგებელი სუბიექტებისგან გათავისუფლდება, ის მზად უნდა იყოს სამოქალაქო დაპირისპირებისთვის. თუ ის და მისი ოჯახი აცხადებს, რომ ბოლომდე აქვს თავი გადადებული, ბოლომდე თავის გადადება ნიშნავს იმას, რომ არც ერთი წუთით უკან არ უნდა დაიხიონ, არ უნდა დაუთმოს გაყალბები და გაუპრავოს სააკაშვილს არჩევნები. აი, ასეთი დილემის წინაშე დგას დღეს ივანიშვილი და ქართული ოცნება, რამდენად აცნობიერებენ ამას, ეს ჩემთვის ცოტა რთული სათქმელია.

***– რაც შეეხება ბაჩო ახალაიას და გიგა ბოკერიას კანდიდატურებს?***

– პრინციპში, ეს ძალიან ლოგიკური კანდიდატურებია, ნაციონალების ლოგიკიდან გამომდინარე, ანუ სახეებით მკაცრდება და ბევრად უფრო ხისტ ფორმებს იღებს ეს სამინისტროები. თავდაცვის სამინისტროში გიგა ბოკერიას გადაყვანა და ახალაიას დანიშვნაც შს სამინისტროში, თუნდაც ესენი არ იყვნენ, ეს პოლიტიკას არ შეცვლის და ეს ნიშნავს იმას, რომ საგარეო ფაქტორი ისევ რუსული დახმარებით უმზადდება სააკაშვილს, რომ ისევ ნაციონალებს მიეხმარონ ამითი. გავიხსენოთ ჩვენ ყარაბახის პრობლემა, რა დროს იწევს ხოლმე ისტორიულად ზემოთ და შემდეგ რა მოყვება ხოლმე ამას საქართველოში. ეს რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს ე.წ. პერეტრუბაციებს. ხოლო შიგნით, რა თქმა უნდა, ეს არის შიდა „წესრიგის დასამყარებლად“ გადადგმული ნაბიჯი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ 50-50-ზე უნდა დავუშვათ, რომ სამოქალაქო დაპირისპირება შესაძლებელია მოსალოდნელი იყოს არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომაც. ეს უკვე დამოკიდებული იქნება იმაზე, როდის ჩათვლის ნაციონალური მოძრაობა, თავისი უკან მდგომი ძალებით ამის გაკეთებას საჭიროდ. პირველ პირებად მოჰყავთ ისეთი ხალხი, რომლებიც ყველაფერზე წამსვლელები არიან, აბსოლუტურად ყველაფერზე. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის მორიდებას ამ პროცესებიდან, როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილს კარიერული თვალსაზრისით ბევრად სერიოზული რამ ელოდება წინ, ვიდრე იმავე გიგა ბოკერიას, ან ახალაიას.

## თიბისი ბანკის ახალი სათავო ოფისის პროექტზე საერთაშორისო კონკურსი გამოცხადდა

თიბისი ბანკის ახალი სათავო ოფისის გრანდიოზულ პროექტზე საერთაშორისო კონკურსი გამოცხადდა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართული, ისე უცხოური არქიტექტურული კომპანიები.



თიბისი ბანკის ახალი შენობა სულ მალე იქცევა საქართველოში ყველაზე დიდ ბიზნეს ცენტრად.

ახალი სათაო ოფისის ფასადის ესკიზურ პროექტზე და გენერალურ გეგმაზე კონკურსი თიბისი ბანკმა 10 ივნისს გამოაცხადა. საკონკურსო პროექტების მიღება გაგრძელდება 15 აგვისტომდე.

ეს არის ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენობა ვაკე-საბურთალოს გზაზე (უნივერსიტეტის ქ.2), რომელიც რამდენიმე თვის წინ თიბისი ბანკმა, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში შეიძინა.

შენობის საერთო ფართი 33 ათასი კვ. მეტრია, ხოლო მთლიანი ტერიტორიის ფართი 43 ათასი კვ. მეტრი.

ამ მასშტაბის კონკურსი საქართველოში ბოლო 15 წლის მანძილზე არ ჩატარებულა.

უკვე ცნობილია, რომ კონკურსში მონაწილეობას მიიღებს 20-ზე მეტი ქართული და 6 უცხოური არქიტექტურული კომპანია. გამარჯვებული კომპანიებისთვის საპრიზო ფონდი შეადგენს 100 000 ლარს, რომელიც გაიცემა სამ საუკეთესო საკონკურსო პროექტზე – პირველი ადგილი 50 000 ლარი, მეორე ადგილი 30 000 ლარი და მესამე ადგილი 20 000 ლარი.

კონკურსის შედეგები სექტემბერში გამოცხადდება. გამარჯვებულს გამოავლენს ჟიური, რომლის თავმჯდომარეც იქნება საერთაშორისო რანგის არქიტექტორი.

რეკონსტრუქციის შემდეგ ეს იქნება ბანკების დღეს არსებულ ოფისებს შორის ყველაზე დიდი ოფისი, ხოლო როგორც ბიზნეს ცენტრი – ასევე ყველაზე დიდი საქართველოს მასშტაბით.

## ირაკლი ალასანია: მერაბიშვილის დაპირებები წინასაარჩევნო ტყუილია“

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ახალი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაპირებებს, მორიგ ტყუილს უწოდებს.



როგორც ალასანიამ აღნიშნა, მერაბიშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ყველა გამოსვლას დიდი ყურადღებით ეცნობა.

მისი თქმით, მერაბიშვილმა იგივე პრიორიტეტებზე დაიწყო ლაპარაკი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა, თუმცა, ერთი რამ ვერ გათვალა.

„რვა წელია ეს ადამიანები, მისი ჩათვლით, ხალხს ამ საქმეს ჰპირდებიან, მაგრამ არ შეუსრულებიათ. ყველა დაპირება პრაქტიკულად პირგატეხილია. რაც ხდება სოფლის მეურნეობის სფეროში, კარგად ვხედავთ. როგორ ეპყრობიან ადამიანების კერძო საკუთრებას, ამასაც ვხედავთ“ – განაცხადა ალასანიამ.

მისივე თქმით, დაპირებები, რომელიც ქვეყნის გამთლიანებას ეხებოდა, არ არის შესრულებული, კვლავ არ არის დაძლეული სიღარიბე.

„საზოგადოება თავადაც კარგად აცნობიერებს, რომ ეს ყველაფერი მორიგი ტყუილი და წინასაარჩევნო ფარსია“ – განმარტა ალასანიამ.

საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დღეს გლდანში, პროფესიული გადამზადების მშენებარე ცენტრის ტერიტორიაზე გამართულ შეხვედრაზე მთავრობის პრიორიტეტებზე, ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დღემდე ძალიან ბევრი ადამიანია დაუსაქმებელი, რომელთაც ელემენტარული პირადი პრობლემების მოგვარებაც არ შეუძლიათ. მან მთავრობის პრიორიტეტებად სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარება, დასაქმება და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა დაასახელა. ასევე, აღნიშნა, რომ ქვეყნის ყველა ოჯახი მთავრობისგან 4 წელზე გათვლილ 1000 ლარიან ვაუჩერს მიიღებს, რომელსაც საკუთარი საჭიროებისამებრ გამოიყენებს.

**ნიუსპრესი**

# ვის იმედზეა დარჩენილი სააკაშვილი

გულიკო ბალაძე

**ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში ავთანდილ დავითაია აცხადებს, რომ სააკაშვილი ბოლოს ზონდერბრიგადებისა და იმ ქალების იმედზე დარჩება, რომლებიც მას დაჰყვებიან.**



ის, რაც საქართველოში სააკაშვილისა და მისი ნაციონალური მოძრაობის მიერ ხორციელდებოდა, არის შემზარავი. სააკაშვილის ხელისუფლებაში ზონდერების დახმარებით მოვიდა და ზუსტად იგივეს აგრძელებს დღესაც, თავისი ზონდერებით, მივარდნებით და მოვარდნებით.

***— ბატონო ავთანდილ, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამბობდნენ, რომ ის ჩხუბები, რომელიც თან ახლდა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლას, თვითონ მისი დაგეგმილი ყოფილა. „ზონდერების ინსტიტუტს" მას შემდეგ თავისი მმართველობის პერიოდშიც იყენებდა. სხვანაირი პროცესი ამ ქვეყანაში შეუძლებელია, რატომ ვერ გავცდით ამას?***

— მეც გამიგია, რომ მაშინდელი ზონდერები სააკაშვილის ხალხი ყოფილა და შეგნებულად აწყობდნენ მივარდნებს თუ მოვარდნებს და არეულობებს. სააკაშვილმა ხელისუფლებაში შემდეგაც გააგრძელა ზონდერების გამოყენება, ოღონდ ახლა თავისი ხელისუფლების შესანარჩუნებლად და ქართველი ხალხის დასათრგუნად. სააკაშვილის პერიოდის საქართველოს სახელმწიფო ზონდერებზეა აწყობილი. სხვანაირი პროცესი აქ შეუძლებელია. როგორ შეიძლება მე მქონდეს სატელიტური ანტენა და ის მომიხსნა. ამით რა შეიძლება დავაშავო? შეიძლება ინფორმაცია მივიღო. რაც მთავარია, ამ ქვეყანაში ჭეშმარიტ სიტყვას ებრძვიან. იგივეა ბაგრატის ტაძრისთვის ლიფტის მიდგმა. რომელი ავადმყოფის ტვინში გაჩნდა აზრი, ტაძრისთვის ლიფტის მიშენების თაობაზე. სწორედ ავადმყოფის ტვინში შეიძლება გაჩნდეს აზრი ბაგრატისთვის ლიფტის მიშენებისა. სად უნდა ახვიდე? საინტერესოა, სად მიდიან/? ტაძარი იმისაა, რომ შეხვიდე და ილოცო. ტაძარს უნდა ჰქონდეს სასოება. ტაძარში უნდა მიხვიდე სალოცავად. ტაძარი უნდა გიყვარდეს, შენი სურვილით უნდა მიდიოდე.

***— შეიძლება გუმბათზე ასვლა უნდათ. იქიდან უნდათ დაგვძახონ თავიანთი „სათქმელი".***

— რა უნდა დაგვძახონ? ვის აყვანას აპირებს საოცარი ბაგრატის გუმბათზე. სხვათა შორის, ვასიკო ოდიშვილმა შესანიშნავი რეპორტაჟი გააკეთა: „ჩააგდე 5 თეთრი და ამაღლდი"-ო. ეტყობა, „ამაღლებას აპირებდნენ", მაგრამ ლიფტით ამაღლება შეუძლებელია. ამ ხელისუფლების რაობას კარგად ასახავს რეჟისორ ამირან ამირანაშვილის ფილმი „არაჩვეულებრივი ფაშიზმი", რომელიც ახლახან აჩვენეს. ეს ფილმი მთელმა საქართველომ და მსოფლიომ უნდა ნახოს. ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ბიჭების დედებმა ნახონ „არაჩვეულებრივი ფაშიზმი" და გაიგონ, რას შვრებიან მათი შვილები. გაიგონ, როგორი მკვლელები გაზარდეს, რომ წაქცეულ კაცს, რომელიც წინააღმდეგობას არ უწევს, მთელი სისასტიკით როგორ სცემს 10 კაცი. მთელ მსოფლიოში არ არსებობს ასეთი რამ. არც ჯენტლმენურ, არც კაცურ პრინციპებში ასეთი მოქცევა არ შედის. ხელისუფლება ხარ, სახელმწიფოს წარმოადგენ და წაქცეულ კაცს, რომელიც წინააღმდეგობას არ გიწევს, სასტიკად სცემ. ე.ი. მოსაკლავად მიხვედი და არა — დასაშლელად. მოკლა კიდევაც არაერთი ადამიანი. ზოგი ვერ მოკლა. უბრალოდ, ძლიერი აღმოჩნდა. ისეთი ტრავმებით, რასაც ისინი აყენებდნენ ადამიანებს, შეიძლება ნებისმიერი მომკვდარიყო. 9 აპრილსაც კი, ყველა მხარე გახსნილი იყო და ერთი მხრიდან უტევდა ჯარი. 26 მაისს პირველად ვნახე, ადამიანებისთვის ყველა მხრიდან ჩაკეტილი ჰქონდათ გასასვლელი. ამიტომ ვამბობ, აქციის დასაშლელად კი არა, ხალხის მოსაკლავად მივიდნენ.

***— პრობლემა უნდოდათ მოესპოთ.***

— ჰგონიათ, რომ ამით მოისპო? ხომ ხედავთ, რა ხდება ახლა მიტინგებზე? ზღვა ხალხი გამოდის. გურიაში ამდენი ხალხი გამოხული ჯერ არ მინახავს. უზარმაზარი მოედანი სავსე იყო ხალხით. ის მოედანი თბილისის თავისუფლების მოედანზე დიდია. ეს გამოიწვია ხელისუფლების ქმედებებმა. გაცილებით ბევრი ხალხი გამოვა მომავალში. სააკაშვილი ბოლოს ზონდერბრიგადებისა და იმ ქალების იმედზე დარჩება, რომლებიც მას დაჰყვებიან. ერთმა ქალმა თქვა, ჩემი ღმერთია სააკაშვილიო. წარმოიდგინეთ, რა დონეზე უნდა იყოს ადამიანი დაცემული ზნეობრივად, ეს რომ თქვას.

***— ასეთი ხალხი ყველა ხელისუფლებას ჰყავს.***

— კი მაგრამ, ამბობს, ჩემი ღმერთიაო. როგორ შეიძლება შენი ღმერთი სააკაშვილი იყოს? რა გაუკეთა ასეთი? ალბათ, სამსახური მისცა და კიდევ რაღაც ერთი-ორი კაპიკი.

***— თუ უღირსი კაცი ღირსეულ ადგილს მიიღებს, თავისთავად ასეთი კაცის ღმერთი იქნება სააკაშვილი, ცხადია.***

— ეს არის საოცრება. მიდის ერთი რაიონიდან მეორეში, მიჰყავთ ავტობუსით, რომ მივიდეს ვილაცასთან, დაიწყოს კივილი, ჩაშალოს საარჩევნო შეხვედრა. რა უფლება აქვს იმ ქალს, საარჩევნო შეხვედრა ჩაშალოს? რა მოიგო ამით? როცა საარჩევნო კამპანიაა (უკვე რამდენი წელია მე ამ პროცესის ზედამხედველი ვარ. წარმოვადგენ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას), უნდა წავიდეს პროცესი. გაცილებით უარესი შედეგი მიიღო ხელისუფლებამ ამ ჩხუბით, ვიდრე იმით, რომ იქ მშვიდობიანად ვილაცას ეკითხა, შენ რას გამიკეთებ, ხელისუფლებაში რომ მოხვალო, მაგრამ არა, მივარდებიან ვილაც გიჟები, რომლებიც კივიან, წივიან და შლიან შეხვედრას. ამით ის სოფელი მთლიანად ოპოზიციური გახდა.

***— რეალურად ვერა და ვერ ჩამოგვიყალიბდა ევროპული საარჩევნო კულტურა?***

— ასე იმიტომ ხდება, ხელისუფლებას გამოსავალი არ აქვს. იმდენი სიბინძურე ჩაიდინეს, იმდენი ადამიანი მოკლეს, იმდენს სცემეს, იმდენი გააუბედურეს, ფიქრობენ, ვაითუ, ჩვენ აღარ ვიყოთ ხელისუფლებაში, დაგვიჭერენ და გაგვასამართლებენო. მათ ეს მოუწევთ. ბოლო დროს ტელევიზიებს სპეციალურად ვაკვირდები, მონიტორინგს ვახორციელებ, ვინ რამდენ ხანს ჩანს ტელევიზორში? ნაციონალური მოძრაობის მომხრეთა რიცხვი შეიზღუდა და სულ ნაკლები და ნაკლები ადამიანი ჩანს.

***— თავის მიერ კონტროლირებად ნაციონალურ ტელევიზიებზე დაკვირვებითაც ასეა?***

— დიახ, ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლებად გამოჩნდნენ. ფიქრობენ, ვაითუ, არჩევნები წააგონ და სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუხდეთ. ამიტომ ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლებად გამოჩნდნენ, რაც შეიძლება ნაკლები სისულელე ილაპარაკონ. რჩება რამდენიმე მორჩილი უმრავლესობის რაღაც მცირე აგრესიული ნაწილი, რომელსაც სხვა გამოსავალი არ აქვს. მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ. ჩემი ინფორმაციით, მათ ტელევიზორში გამოსვლასაც აიძულებენ. ხომ არ გგონიათ, ეს მათ უნდათ? იძულებული არიან გამოვიდნენ და რაღაც თქვან, რადგან ის ურეკავს და ეუბნება, აბა, ახლა გამოდიო. წარმოიდგინეთ, საქართველო როგორ იმართება — ტელევიზიით გამოვა პირველი პირი და იტყვის სისულელეს, რომ ვთქვათ, ლაზიკა უნდა ააშენოს, თურმე ბაგრატის ტაძარს ლიფტი უნდა მიადგას და მთელი აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა დღე და ღამ ცდილობს ამ სისულელეების დაცვას.

***— ხელისუფლების აგრესიული ქმედებები საზოგადოებაში საპასუხო აგრესიას გამოიწვევს?***

— ხელისუფლების აგრესიული ქმედებები, სამწუხაროდ, გამოიწვევს აგრესიას და ამ არჩევნებისთვის უფრო რადიკალური გახდება.

## ზაზა სვანაძე ციხის ზედამხედველებს გაუპატიურებით მუქარაში ადანაშაულებს



ყოფილმა პატიმრებმა — ირაკლი ბერაიამ და ზაზა სვანაძემ საპატიმროში მათ მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და წამების თაობაზე განცხადება გააკეთეს.

ბრიფინგი მათ პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკურ მდივანთან თენგიზ ომანაძესთან ერთად გამართეს.

ყოფილი პატიმრების თქმით, საპატიმროებში მათ მიმართ ადგილი ჰქონდა წამებას, ღირსების შემლახავ ფაქტებს და ფიზიკურ ზეწოლას.

29 მაისს, პარლამენტთან საპროტესტო აქციაზე დაკავებული ზაზა სვანაძის განცხადებით, მას ახალციხეში ციხის ზედამხედველი შალვა ხაშმაიძე გაუპატიურებით ემუქრებოდა. მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც გავრცელდა ვიდეო-მასალა, სადაც ის შს ექს-მინისტრ ვანო მერაბიშვილზე მათთვის არასახარბიელო კონტექსტში საუბრობდა, მასთან მივიდა ბადრაგი, მიუტანა ნინო ბურჯანაძის, ბიძინა ივანიშვილისა და კახა კუკავას ფოტოები და მათი სიტყვიერი შეურაცხყოფა მოსთხოვა. უარის მიღების შემდეგ, სვანაძის განცხადებით, მისი ფიზიკური შეურაცხყოფა დაიწყო.

ყვარლის იზოლატორში პატიმართა მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრა მოძრაობა „7 ნოემბრის" ლიდერმა ირაკლი ბერაიამაც და აღნიშნა, რომ მის მიმართ ბადრაგის არაადამიანური მოპყობა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა.

ომანაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მხრიდან პატიმრობაში მყოფ პირთა წამება სისხლის სამართლის დანაშაულია.

„თავისუფალი საქართველო" მოუწოდებს სახალხო დამცველს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს და დიპლომატიურ კორპუსს დაუყონებლივ მოახდინონ რეაგირება ამ ფაქტებზე. ასევე, პარტია, სასჯელაღსრულების მინისტრის ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ნიუსპრესი

## აშშ-ის კონგრესის დელეგაცია თბილისს ესტუმრება

გუშინ თბილისს, აშშ–საქართველოს ურთიერთობებზე სასაუბროდ, აშშ-ის კონგრესის 6-კაციანი დელეგაცია ეწვევა. დელეგაციას კონგრესმენი ბილ შუსტერი (რესპუბლიკელი, პენსილვანიის შტატი) უხელმძღვანელებს. კონგრესმენები შეხვდებიან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილე ნოდარ ხარშილაძეს. დელეგაცია აგრეთვე შეხვდება ოპოზიციის ლიდერებს, დაათვალიერებს კერძო სამედიცინო კლინიკას და დაესწრება ამერიკელი და ქართველი ჯარისკაცების ერთობლივ წვრთნას, რომელსაც ისინი ავღანეთის სამშვიდობო მისიისათვის მოსამზადებლად გადიან, — აცნობებს „მედიანიუსს" აშშ საელჩოდან.



კონგრესმენი შუსტერი აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრია 2001 წლიდან. ის შეიარაღებული ძალების კომიტეტის წევრია. მის მოვალეობებში შედის აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის, აშშ-ის შეიარაღებული ძალებისა და ნაწილობრივ, აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის დაფინანსებისა და ფინანსების მონიტორინგის საკითხები.

დელეგაციის სხვა წევრები არიან: კონგრესმენი ჯეისონ ალტმაიერი (დემოკრატი, პენსილვანიის შტატი), ბრეტ გუტრი (რესპუბლიკელი, კენტუკის შტატი), ჯეფ დენჰემი (რესპუბლიკელი, კალიფორნიის შტატი), ბლეიკ ფერენტჰოლდი (რესპუბლიკელი, ტეხასის შტატი), და ადამ კინზინგერი (რესპუბლიკელი, ილინოისის შტატი). ჩამოთვლილი კონგრესმენები აშშ-ის კონგრესის სხვადასხვა კომიტეტებში მსახურობენ, მათ შორის, ვეტერანთა საქმეების, ენერგეტიკისა და ვაჭრობის, აგრეთვე ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის კომიტეტებში.

დელეგაციის ვიზიტი 4 ივლისს დასრულდება.

მედიანიუსი

## ამერიკა სააკაშვილის გადასარჩენად ხელს აღარ გაანძრევს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

იმანაც იქონია, რომ ივანიშვილმა ახსენა მერაბიშვილი რამდენჯერმე.

***— კარის ინტრიგებს გულისხმობთ?***

— საფუძველი მაინც ის არის, რომ დიდი ხნის განმავლობაში, როცა ადამიანი ერთ პოზიციაზეა და პოსტზე თავს ძლიერად იგრძნობს, ეს ყოველთვის საფრთხეა დიქტატორისთვის.

***— მერაბიშვილმა რამდენიმე პრიორიტეტი ჩამოთვალა, სოფლის აღორძინება, დასაქმება, სოციალურ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. მისი დანიშვნა ხომ არ არის მისი დისკრედიტაციის მცდელობა, რომ თუ ამ სამ თვეში მან ვერ მოახერხა ვერაფრის გაკეთება, ის, როგორც პოლიტიკური ფიგურა, აღარ იარსებებს?***

— სიტყვა „თუ" უნდა ამოაგდოთ ამ კითხვიდან, იმიტომ, რომ არჩევნებში თუ მერაბიშვილმა ვერ მოიგო, ვერ გააყალბა და ვერ შეინარჩუნა გაყალბებული შედეგი, მაშინ მერაბიშვილსაც, სააკაშვილსაც და მთელ ნაციონალურ ლიდერებს ხალხი გამოუტანს განაჩენს. ეს სააკაშვილზე არ არის დამოკიდებული.

***— მერაბიშვილის დანიშვნამდე სააკაშვილი ხედავდა, რომ ივანიშვილი ძლიერდება, მისი აქციები ხალხმრავალია, ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მერაბიშვილის დანიშვნით რაღაც ახალი იდეების ჩასახვა ხომ არ უნდა ნაციონალურ მოძრაობას ამომრჩევლისთვის?***

— სააკაშვილმა თავი დაიცვა შიდაგანხეთქილებისგან. მას ეშინია, მერაბიშვილი არ გაეპაროს.

***— რას გულისხმობთ, გაეპაროს მეორე ბანაკში თუ გაძლიერდეს და გადატრიალება მოუწყოს?***

— ის მძიმე დავალებები, რომელსაც მიიღებს მერაბიშვილი არჩევნების მოგების მიზნით, მან შეიძლება არ შეასრულოს ისე, როგორც ეს სააკაშვილს უნდა. ამას ვგულისხმობ. მერაბიშვილი უნდა დააბალანსოს. დიქტატორებს ახასიათებთ ის, რომ მეორე და მესამე პირები ქვეყანაში პირველთან აუცილებლად დისტანციაზე უნდა იყვნენ. თავისი ძალიდან გამომდინარე, მეორე პირი შეიძლება მეთერთმეტე იყოს და მეთერთმეტე იყოს მეორე თავისი გავლენით. გადაწყვეტილებას ყოველთვის ერთი ადამიანი იღებს. სხვები შემსრულებლები არიან.

***— ივანიშვილმა თავის წერილში მერაბიშვილი სიმპათიით ახსენა, არის ვარაუდი, რომ ისინი ერთ თამაშს თამაშობენ და ამას არ აჩვენებენ. ამ ვერსიაზე რას იტყვით?***

— არა მგონია, ამის ნიშანს ვერ ვხედავ, არც ვიცი, ღრმა კულისებში რა ხდება. იმდენად ძლიერი მარწუხები აქვს დიქტატორულ რეჟიმს, რომ ამის ღიად ჩვენება სახიფათოა. გულში ასეთი ჭია ბევრს გაუჩნდა, არავის უნდა თავისუფლების დაკარგვა მატერიალური კეთილდღეობისა და კარიერის სანაცვლოდ. თავისუფლება ღვთიური ნიჭია, როცა ვინმე ამას გართმევს, მაინც წუხდები. ივანიშვილი სწორედ ამას გულისხმობდა და არა მაინცდამაინც იმას, რომ მერაბიშვილი მის ბანაკში გადაიბიროს ან უკვე არის.

***— სამთავრობო კარუსელი დატრიალდება, მერაბიშვილმა დღეს უნდა წარადგინოს ახალი კაბინეტი. წინასწარ თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ან ვარაუდი, ვინ სად აღმოჩნდება და მიზანშეწონილი ვისი რომელ სამინისტროში გადაყვანაა?***

— მნიშვნელოვანია ორი სამინისტრო და ორი პოზიცია. დღეს ამათთვის მთავარი არჩევნების მოგებაა. მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პრობაციის სამინისტროს პირველი პირი ვინ იქნება. დღეს ბევრი პატიმარია, გაცილებით მეტი, ვიდრე პროპორციულად სამმილიონიან მოსახლეობაზე უნდა მოდიოდეს. არის ასი ათასობით პრობაციონერი ანუ პოტენციურად ის პირი, ვისაც ხელისუფლება აკონტროლებს. ხელისუფლება ხმების მოსაზიდად ამ საშუალებას გამოიყენებს. სხვა დანარჩენი სამინისტროები არჩევნებისთვის ვერაფერს გააკეთებენ. რა უნდა გააკეთოს სამ თვეში დასაქმების ახალმა მინისტრმა. დასაქმებულთა რაოდენობას ბიზნესის ხელშეწყობა ზრდის. ამათ არ უნდათ ბიზნესის კონტროლის ხელიდან გაშვება. სამუშაო ადგილები არაკონკურენტულ გარემოში არ შეიქმნება.

***— არის ვარაუდი, რომ თავდაცვის მინისტრად ბოკერია განიხილება, შს მინისტრად კი ბაჩო ახალაია. რას ფიქრობთ ამ კანდიდატურებზე?***

— თუ ეს მოხდება, ამ შემთხვევაში ჩემი ვერსია მყარდება, დააბალანსებს მერაბიშვილს, ბოკერიას. მათგან სავარაუდო საფრთხეებს გაანეიტრალებს. უღელტეხილზე ცხენებს არ ცვლიან. არ იქნება ეს შედეგის მომტანი.

***— დავიჯეროთ, ამერიკა არ ჩაერია ამ საკადრო ცვლილებაში, ანუ სააკაშვილს ხედავენ, რომ საზოგადოებაში ნდობადაკარგული ლიდერია და ახალი ცვლილება უნდა მომხდარიყო?***

— დაუჯერებელია, რომ ამერიკა ასეთ საკითხებში ერეოდეს. სააკაშვილს ამერიკელები დიდ ხნის განმავლობაში იცავდნენ. მისი გადარჩენისთვის ბევრჯერ გადადგეს არაპოპულარული ნაბიჯები. დღევანდელი სიტუაცია სხვა არის. ამერიკელების ინტერესი ის არის, რომ მათი ჩარევის გარეშე მოხდეს ყველაფერი. სააკაშვილმა არა მარტო ვადა ამოწურა, არამედ მორალურადაც ამოწურა თავი.

# ვაშაძე რუსეთიდან საფრთხეს ელოდება

ნათია ხურცილავა

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში არ აკეთებენ კონკრეტულ კომენტარს გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც გიორგი ბარამიძეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე შეცვლის.**



ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ ყველა კითხვას, საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, მაშინ გაეცემა პასუხი, როდესაც ახლად დანიშნული პრემიერ-მინისტრი პარლამენტის წინაშე წარდგება.

გავრცელებული ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ბარამიძის ადგილზე დაინიშნება, გიორგი ბარამიძე კი დიდუბის მაჟორიტარ დეპუტატად იყრის კენჭს.

კალანდაძე არ იზიარებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, თითქოს 27 ივნისს, გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრა, რომელიც ექსპერტების დონეზე უნდა გამართულიყო, ქართული მხარის მიზეზით ჩაიშალა.

აღნიშნული განცხადება კალანდაძემ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. კალანდაძის თქმით, ეს შეხვედრა ბოლომდე დაგეგმილი არ იყო. მხოლოდ საუბრის დონეზე განიხილებოდა, რომ უნდა შემდგარიყო.

— ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრების ჩაშლას რუსეთის ხელისუფლებამ მიზანმიმართულად შეუწყო ხელი და ეს აფხაზეთში მათი წარმომადგენლების მხრიდან გაკეთდა. ამ მექანიზმების შენარჩუნების სურვილი გვაქვს, თუმცა წინააღმდეგობა რუსეთის ფედერაციის მხრიდან წამოვიდა და იმედი გვაქვს, შევძლებთ განვაახლოთ, — აცხადებს კალანდაძე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 27 ივნისს გალში დაგეგმილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრა, რომელიც ექსპერტების დონეზე უნდა გამართულიყო, ქართულმა მხარემ ჩაშალა, რასაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული მხარე კატეგორიულად უარყოფს. საქართველოს 4 ივლისს ვიზიტით ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი ეწვევა.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომპეი საქართველოში ვიზიტის ფარგლებში მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს — შეხვდება საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ასევე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს.

ვიზიტის ფარგლებში ევროპული საბჭოს პრეზიდენტი მოინახულებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას.

— განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ევროკავშირთან სისტემატურ ურთიერთობას, ამიტომ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ყველა ვიზიტი მნიშვნელოვანია, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საქართველოში სანამ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი ეწვევა, მანამდე, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე „სივილ ჯი-სთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში არსებულ ოპერაციებში ჩართვის სურვილი აქვს.

— ევროკავშირის მხარესთან უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები მისიებში მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით. ეს ბუნებრივი გაგრძელებაა იმ უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობის, რომელიც ჩვენ ევროკავშირთან გვაქვს. ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე მოლაპარაკებები წარმატებულად მიმდინარეობს. იმედი გვაქვს, რომ ეს მოლაპარაკებები გაისად დასრულდება. 2012 წლის ზაფხულში ევროკავშირთან სავიზო დიალოგი დავიწყეთ, რაც სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან გარდაუვალად მიგვიყვანს. მოკლედ, ჩვენსა და ევროკავშირის შორის, როგორც არასოდეს, ისეთი ინტენსიური ურთიერთობებია და ეს ასევე აისახება უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობაზეც. ამის გათვალისწინებით, საქართველო ასევე დაინტერესებულია ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებით საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში და ევროკავშირის სამოქალაქო მისიებსა და სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობით. სხვათა შორის, აღნიშნულს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" 2011 წლის ვარშავის სამიტის ერთობლივი დეკლარაციაც ითვალისწინებს. ჩვენ სხვადასხვა მრავალმხრივ ოპერაციაში მონაწილეობის საკმაოდ წარმატებული გამოცდილება გვაქვს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ეს გამოცდილება შეიძლება გამოვიყენოთ ისეთ მისიებში, რომლებიც ევროკავშირის ეგიდით ხორციელდება. ჩვენი ადგილი ევროკავშირშია და ამ მიზნისაკენ მიზანმიმართულად მივდივართ. ეს გულისხმობს არა მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებლობას, არამედ უსაფრთხოების მიწოდების ვალდებულებასაც. ღრმად გვწამს, რომ საქართველოს ჩართვა კონფლიქტის პრევენციისა და კრიზისის მართვის ოპერაციებში ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება, — განაცხადა ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით:

— ირანთან საომარი მოქმედებები რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების საფრთხეს აუცილებლად გაზრდის. ამაზე მეტყველებს რუსეთის ოფიციალური პირების მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებები და რუსეთის სტრატეგიული სამხედრო წვრთნები „კავკასია 2012", თავის განშტოებასთან, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ეგიდით სომხეთის ტერიტორიაზე დაგეგმილ სამხედრო წვრთნებთან „ინტერაქცია 2012" ერთად. ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც რუსეთი საქართველოს მიმართ თავის მტრულ დამოკიდებულებას არ მალავს და ძალის არგამოყენების ვალდებულების აღებაზე უარს ღიად ამბობს. ჩვენს სერიოზულ შეშფოთებას ამ საკითხთან დაკავშირებით მუდმივად ვუზიარებთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, რომლებიც არსებული სიტუაციის სირთულეს ადეკვატურად და სერიოზულად აღიქვამენ. შეგახსენებთ, რომ გასული წლის ბოლოს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროდან „ნეზავისიმაია გაზეტა"-ში „გაჟონა" ინფორმაციამ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა და მისი მოკავშირეები ირანს თავს დაესხმოდნენ, მოსკოვი სომხეთში დისლოცირებული მისი 102-ე ბაზის მომარაგების უზრუნველსაყოფად საქართველოს, როგორც სატრანზიტო გზას, გამოიყენებდა. რუსულ მედიაში ასევე გავიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთს აქვს ბოლო სიტყვის სამხედრო ტექნოლოგია, რომლითაც 12 საათში შეუძლია, ზუსტი ვირტუალური რუკები შეადგინოს. ერთადერთი სამხედრო კომპლექსი, რომელსაც ამის შესაძლებლობა გააჩნია, რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქში მდებარეობს. რუსულ ტელეარხებზე გაშვებული კადრებიდან კარგად ჩანდა, რომ რუსი სამხედროები სწორედ თბილისის რუკებს განიხილავდნენ. საფრთხე იმისა, რომ რუსეთი შეეცდება 2012 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წართმევისთვის გამოიყენოს, ძალზე რეალურია და ისიც აშკარაა, რომ რუსეთის დარტყმის სამიზნე, პირველ რიგში, საქართველო და შემდგომ აზერბაიჯანი იქნება. ამ სცენარის შემთხვევაში კი სავსებით ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. რუსეთს არასოდეს დაუმალავს, რომ მისი სტრატეგიული მიზანია, სამხრეთ კავკასია მთლიანად გააკონტროლოს და ამ რეგიონში დომინანტური ძალა იყოს. თუ მას საშუალება მიეცა, აუცილებლად შეეცდება, „სამხრეთ კავკასიის პრობლემა" სამხედრო გზით მოაგვაროს, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, რუსეთს, როგორც ჩანს, რამდენიმე გეგმა აქვს.

— რა თქმა უნდა, ის მზადაა, რეგიონში სიტუაცია ხელოვნურად დაძაბოს და ისე, როგორც 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს თავს დაესხას. ხოლო, თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ იგი შეეცდება, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე თავისი სამხედრო ყოფნით გარკვეული ზეწოლა მოახდინოს და საქართველოს ხელისუფლებაში მარგინალიზირებული, პრორუსული ელემენტების მოყვანა სცადოს, — აღნიშნა ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებაც ისაუბრა, რომელიც მხოლოდ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის ფარგლებში მოხდება.

— საქართველო ნატო-ში მხოლოდ მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში გაწევრიანდება. ალიანსი, ისევე, როგორც მისი თითოეული წევრი, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს ცალსახად უჭერს მხარს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის არაღიარების მტკიცე პოლიტიკას ატარებს. თუმცა, ორი რამ ხაზგასმით უნდა ითქვას: პირველი, ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი ცდილობს იმ მოსაზრებით სპეკულირებას, თითქოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ნატო-ში გაწევრიანება საქართველოსთვის ორი ურთიერთგამომრიცხავი მიზანია. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. მეორეც, ნატო-ში ინტეგრაციის კურსზე უარის თქმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს დაგვიბრუნებს? რასაკვირველია — არა. სამაგიეროდ, არაოკუპირებული საქართველოს უსაფრთხოებისთვის და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ეს საკმაოდ სახიფათო დისკუსიაა, რომლის წინა პლანზე წამოწევა მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედის. ამ ნაცადი ტაქტიკით რუსეთი ფაქტობრივად ცდილობს, ერთი მხრივ, ნატო-სა და მის გადაწყვეტილებებზე გავლენა მოიპოვოს და მეორე მხრივ, შეზღუდოს ჩვენი სუვერენული უფლება, თავად ავირჩიოთ ის ორგანიზაციები, ალიანსები და კავშირები, რომელში გაწევრიანებაც გვსურს. თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიას ჩავხედავთ, ჩვენი ქვეყნის პრობლემები რუსეთთან, კონფლიქტები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე საქართველოში რომელიმე ოფიციალური პირი ნატო-ს საჯაროდ ახსენებდა. რუსეთს ყოველთვის ერთი მიზანი ამოძრავებდა და დღესაც ამოძრავებს. ეს საქართველოს საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევაა. ნატო-ში ინტეგრაცია რუსეთთან კონფლიქტის დარეგულირების ყველაზე საიმედო გზაა, რათა საქართველოში აღარასოდეს განმეორდეს ის, რაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში მუდმივად ხდებოდა. ამ ეტაპზე კი, თავად ინტეგრაციის პროცესიც მნიშვნელოვანად ზრდის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, აძლიერებს რა საქართველოს პოზიციებს საერთაშორისო არენაზე. ამიტომ, სპეკულაციებზე დამყარებულმა არგუმენტებმა უარი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე არ უნდა გვათქმევინოს, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

# დევნილები საცხოვრებელი ფართების დაკანონებას ითხოვენ




ნათია ხურცილავა

დევნილებმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს. დევნილები კვლავ ითხოვენ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას. დევნილთა უმრავლესობის განცხადებით, 2010-2011 წლებში განხორციელებული გამოსახლების შედეგად ისინი კვლავ ქუჩაში რჩებიან, რადგან ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ალტერნატიული ფართები მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

— ასე უსახლკაროდ დავდივართ, ხან სად ვართ შეფარებულები და ხან სად. არავინ ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევს. ბედის ანაბარა ვართ დარჩენილები, — ამბობენ აქციის მონაწილეები.

მანანა თოლორდავა, აფხაზეთიდან დევნილი:

— გამოგვასახლეს ისე, რომ არც გავუფრთხილებივართ და არც არავის არ უთქვამს, რომ მეორედ უნდა აგყაროთო. ჩაგვსხეს ავტობუსებში და სადღაც გადაკარგულში წაგვიყვანეს. როგორ უნდა დავრჩენილიყავი იქ, როდესაც ბავშვები აქ სწავლობენ, სტუდენტები არიან. სამ სტუდენტს ვინახავ. იქ რომ დავრჩენილიყავი, სრული განადგურება მემუქრებოდა, რადგან ბავშვებს ვერ დავტოვებდი, მეუღლე ომში მყავს დაღუპული. აქ ვმუშაობდი, იქ არანაირი სამუშაო არ მქონდა, რა მექნა? ისევ უკან დაბრუნება გადავწყვიტე. რამდენი ხანია დავდივარ და ვის არ ვეხვეწები, ვემუდარები, რომ ჩემს მდგომარეობაში ერთი წუთით მაინც წარმოიდგინონ თავი, რაღაც პატარა დახმარება, თავშესაფარი გამომიყონ, რამდენჯერ მივმართე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, მაგრამ რა, ვინ გისმენს, ვის ადარდებ?! ვაპროტესტებ, ვდგავარ და ვეუბნები, მეც ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ და მომაქციეთ ყურადღება-თქო, მაგრამ ვითომ არაფერი, მეც თავი დავიწვა, მეც ბენზინი გადავისხა? არ ვიცი რა გავაკეთო, გაუსაძლის მდგომარეობაში ვარ. არ ვიცი, აქ ვიარო და ვაპროტესტო თუ ლუკმაპურის ფული ვიშოვო სადმე? გაუსაძლის მდგომარეობაში ვარ.

ნანა გაბისონია, აქციის მონაწილე:

— რამდენი ხნის წინ გვითხრეს, რომ მოცემულ ფართებს დაგვიკანონებდნენ, მაგრამ როგორც სხვა დაპირება, ესეც ტყუილი აღმოჩნდა. წარმოუდგენელია, რომ ასე გაგრძელდეს. ადამიანები ქუჩაში არიან დარჩენილები უსახლკაროდ. შვილები გვყავს, ჩვენც გვინდა ცხოვრება, მაგრამ აბა, როგორ?! ამ ყვირილში ვართ, იქნება მოგვხედოს ამ ხელისუფლებამ, ვინც ვალდებულია, რომ ჩვენი მდგომარეობით დაინტერესდეს. როგორ შეიძლება, რომ ასე ვიყოთ ყურადღების გარეშე.

აქციის მონაწილე დევნილი:

— მეც ვაპროტესტებ, რომ საცხოვრებელი ფართი არ მაქვს. ბაგებში ვცხოვრობდი და იქიდან გამოგვასახლეს, ახლა ქუჩაში ვართ. გამოსახლება კი არა, დაგეგმილი სპეცოპერაცია იყო. შემოთავაზებულ ფართზე უარი ვთქვი, რადგან იქ ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. აქ რაღაცას ვშოულობ, ოჯახს ვარჩენ, ბავშვები სწავლობენ, როგორ უნდა წავსულიყავი, მითხარით, სადღაც გადაკარგულ ადგილას, სადაც არ წყალი იყო და არც არაფერი. აქამდე ნათესავებთან ვიყავი შეფარებული, მაგრამ როდემდე? მეტი არც მაგათ შეუძლიათ და არც მე. სად წავიყვანო ბავშვები, ზოგი სწავლობს, ზოგი არა. მთელი ოჯახი მე უნდა ვარჩინო. რატომ არ ფიქრობენ, რომ ჩვენც ცხოვრება გვინდა და ჩვენც ადამიანები ვართ. არჩევნების წინ ყველას ყველაფერს პირდებიან, მაგრამ ჩვენთვის არც არჩევნებია და არც არაფერი. როცა უნდათ, მაშინ გამოგვყრიან და როცა უნდათ, მაშინ გვეტყვიან, რომ დაგიკანონებთ, მოგცემთ, მაგრამ ეს ყველაფერი რომ ტყუილია, ამაზე უკვე აღარ ღირს საუბარი, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადეთ. მოვდივართ და ჩვენს ტკივილს ვამბობთ, ვეუბნებით, რა უნდა გაკეთდეს, რომ არ მოვკვდეთ და სიცოცხლე გავაგრძელოთ, მაგრამ ვინ გიგდებს ყურს. ასე გაგრძელება შეუძლებელია. ეს შეიძლება ბოლო წვეთი აღმოჩნდეს. როდემდე შეიძლება 24 ლარიანი დახმარებით ცხოვრობდე. მაინტერესებს, ამაზე არავინ არ ფიქრობს ამ მთავრობაში? თუ აღმშენებლობაა, თუ ასე კარგად არის ყველაფერი, თუ ყველას გადავუსწარით და ყველა კარგად არის, ამ ჩვენს ქვეყანაში თუ ამდენი მილიონი ტურისტი ჩამოდის, ამდენი ინვესტიცია შემოდის, ჩვენ რა დავაშავეთ?! ვინმე გამცემს ამ კითხვაზე პასუხს? ჩვენ რატომ ვერ ვგრძნობთ ამ სიკეთეს? ეს რა ხდება? ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს? ჩვენც ხომ ვართ ადამიანები.

# სახალხო კრება" ფონდ ქომაგს" სოლიდარობას უცხადებს

ფონდ „ქომაგის" მიმართ განხორცილებეული შეტევები ხელისუფლების პოლიტიკის გაგრძელებაა, რათა ქვეყანაში არსებული განსხვავებული აზრი ყველა მეთოდით აღკვეთოს. აღნიშნული შინაარსის განცხადებას „სახალხო კრება" ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ხელისუფლება ისედაც კრიტიკულ წინასაარჩევნო გარემოს ყოველდღიურად ამძიმებს და სულ უფრო მეტად აძლიერებს ზეწოლას განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე.

„სახალხო კრებაში" აცხადებენ, რომ ხელისუფლების სადამსჯელო ღონისძიებები საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქომაგსაც" შეეხო, რომელიც პოლიტიკურად რეპრესირებულ მოქალაქეებს ეხმარება.

მათივე თქმით, პირველი შეტევის შემდეგ, როდესაც არსებულმა რეჟიმმა საქველმოქმედო ანგარიშები დაყადაღა, ფონდმა ალტერნატიული სამართლებრივი გზა მოძებნა და უსამართლოდ დაპატიმრებული მოქალაქეების დახმარება გააგრძელა, რასაც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ტერორის კიდევ უფრი გაძლიერება მოჰყვა.

„საქართველოს პროკურატურამ, პერმანენტულად დაიწყო ვითომდა, მოწმეების სტატუსით იმ მოქალაქეების დაბარება, ვინც ფონდს დახმარებისათვის მიმართა და არნახული ზეწოლა განახორციელა მათზე დაშინების გზით. „სახალხო კრება" გმობს ყოველგვარ ძალადობას და აცხადებს, რომ ფონდ „ქომაგის" მიმართ განხორცილებეული ყველა შეტევა არსებული ხელისუფლების პოლიტიკის გაგრძელებაა, რომ ყველა მეთოდით აღკვეთოს ქვეყანაში განსხვავებული აზრი და აიძულოს საკუთარი მოქალაქეები მონურად ემორჩილებოდნენ მას"— ნათქვამია განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# რეზო გიგინეიშვილმა „სიყვარული აქცენტით“ წარმოადგინა

ეკა ირემაშვილი

ნიკიტა მიხალკოვის ქართველმა სიძემ რეზო გიგინეიშვილმა საქართველოში გადაღებული ქართულ-რუსული ფილმის „სიყვარული აქცენტით“ პრემიერა მოსკოვში გამართა. შემოქმედებითმა ჯგუფმა კომედიური ჟანრის ფილმის პრემიერა, რომელიც სავსეა რომანტიკული თავგადასავლებით, მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში კინოთეატრ „ოქტომბერში“ გამართა.

ფილმში ჭეშმარიტი სიყვარულის შვიდი ისტორიაა მოთხრობილი, სწორედ ამიტომ ფილმში შვიდ ნოველაზეა აგებული, რომლებიც მთლიანობაში ერთ დიდ სასაცილო და კომედიურ ისტორიას კრავს და მაყურებელს არწმუნებს იმაში, რომ სიყვარულმა არ იცის არც ეროვნება, არც საზღვრები და არც კანონები. ფილმში შვიდი ზღაპრული ამბავია იმის შესახებ, რომ თუკი ადამიანებს ერთმანეთი ნამდვილად უყვართ, ისინი ან იდიოტები ხდებიან, ან ჯადოქრები, ან ორივენი ერთად.

როგორც რუსული გამოცემა „ექსპრეს გაზეტა“ იუწყება, რეზო გიგინეიშვილის ფილმის პრემიერა საფესტივალო პროგრამის ყველაზე ხმაურიან ღონისძიებად იქცა. პრემიერას მრავლად ესწრებოდნენ რუსული შოუბიზნესის ცნობილი სახეები. ქართველი რეჟისორის ნამუშევრის წარმატებული პრემიერა კი მოგვიანებით მასპინძლებმა და სტუმრებმა რესტორანში აღნიშნეს, სადაც შეკრებილი საზოგადოების ამაღლებული განწყობის შენარჩუნებაზე ცნობილი რუსი მომღერლების ლეონიდ აგუტინისა და ანჟელიკა ვარუმის დუეტი ზრუნავდა.

ახალი ქართულ-რუსული ფილმის პრემიერას დაესწრო რეჟისორის სიმამრი, ასევე რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი, რომელმაც ფილმს კი უყურა დიდი ინტერესით, მაგრამ პრემიერის შემდეგ მასთან მისულ ჟურნალისტებთან სიტყვაძუნწობა გამოიჩინა და ფილმის შეფასებისგან თავი შეიკავა.

– ფილმი მომეწონა. თუმცა რამდენად მკაცრი ვარ რეზოს მიმართ, ეს თავად მას ჰკითხეთ. რეზომ თავის გზით უნდა იაროს, – ასეთი კომენტარი გააკეთა ნიკიტა მიხალკოვმა.

სამაგიეროდ, რეზო გიგინეიშვილმა ისაუბრა ჟურნალისტებთან და გაუმხილა, რომ რჩევისთვის სახელგანთქმულ სიმამრს ხშირად მიმართავს.

– როცა ფილმზე ვმუშაობ, სცენარისა თუ მონტაჟის თაობაზე რჩევას მას ხშირად ვეკითხები. ძალიან ვაფასებ მის აზრს, რადგან დიდი პროფესიონალია, – განაცხადა ქართველმა რეჟისორმა.

როგორც რუსული გამოცემა „ექსპრეს გაზეტა“ იუწყება, რეზო გიგინეიშვილმა თავისი ფილმისთვის სპეციალურად შეარჩია კინოში მოღვაწე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავები, რომ ამ გზით თავისი ნამუშევრისკენ საზოგადოების ყურადღება მიეპყრო.

– შეგვიძლია მხოლოდ ვიმკითხაოთ, თუ როგორ მოახერხა გიგინეიშვილმა თავის პროექტში ჩაერთო ის მსახიობები, ვინც ბოლო წლებში კინოგადაღებებს თავს არიდებს, თუმცა ვინ ეტყოდა უარს მიხალკოვის სიძეს? – იუწყება „ექსპრეს გაზეტა“.




ცნობილი რუსი კინომსახიობების გარდა ფილმში ქართველი ვარსკვლავები ნანი ბრეგვაძე და ბუბა კიკაბიძეც მონაწილეობენ. სწორედ ამ ფილმის გადაღებების შემდეგ გაჩნდა ქალაქში ჭორი, რომ ბუბა კიკაბიძემ ნანი ბრეგვაძე ცოლად მოიყვანაო, რადგან ფილმში ისინი ცოლ-ქმარი არიან და ქორწილიც აქვთ. მათთან ერთად რეზო გიგინეიშვილის ფილმში მოხვდა ოლეგ ბასილაშვილი, მერაბ ნინიძე, სოფო ნიჟარაძე, თინათინ დალაქიშვილი. ფილმის პროდიუსერი არჩილ გელოვანია, ხოლო სცენარი დათო ტურაშვილმა დაწერა. არც ფილმის პრეიერაზე და არც რესტორანში გამართულ წვეულებაზე ქართველი მსახიობები და ფილმის სცენარისტი სტუმართა შორის არ ყოფილან.

ფილმის პრემიერის საზეიმო ნაწილში საზოგადოების ყურადღების ცენტრში სწორედ ფილმის პროდიუსერი არჩილ გელოვანი მოხვდა, რომელიც თავის 12 წლით უმცროს საცოლეს სკანდალებით ცნობილ მსახიობს აქსანა აკინშინას „უთვალთვალებდა“. როგორც რუსული პრესა წერს, სკანდალური რუსი მსახიობი და ქართველი კინოპროდიუსერი ერთად არიან, ერთმანეთის მიმართ გრძნობებს არ მალავენ და მალე დაქორწინებასაც აპირებენ. ისინი წვეულებისა და საცეკვაო მოედნის ნამდვილ ვარსკვლავებად იქცნენ.

ღონისძიების დღესასწაულში არ ჩართულა რეჟისორის მეუღლე ნადეჟდა მიხალკოვა, რომელიც არც პრესას ეკონტაქტებოდა და არც საერთო მხიარულებაში ჩაბმულა.

– მის სახეზე დაღლილობის კვალი შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდაო, – წერს პრესა. სამაგიეროდ რეზომ კარგად მოილხინა – უახლოეს მეგობრებთან ერთად რესტორნის ვიპ-ზონიდან მისი ხმამაღალი სადღეგრძელოები გათენებამდე ისმოდა. წვეულებამ ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობით ჩაიარა. სტუმრებს ქართული ხალხური სიმღერებით დახვდნენ, სუფრასთან მოკალათებულ სტუმრებს კი – ჩახოხბილით, საცივით, ჩანახით, მწვადითა და საუკეთესო ქართული ღვინით გაუმასპინძლდნენ.

# გორმა კოსტიუმირებულ კარნავალს უმასპინძლა

ეკა ირემაშვილი

გორში კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრმა კოსტიუმირებული კარნავალი გამართა. ღონისძიების ფარგლებში, კახა ბაკურაძის თეატრმა ისტორიული მოვლენები და გმირები გააცოცხლა. შეკრებილი საზოგადოებისთვის წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა საინტერესო გამოსვლები. ცოცხალად შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები. კოსტიუმირებული სანახაობა გორის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა. კარნავალი კი ტრადიციულად კახა ბაკურაძის თეატრის ცეცხლოვანმა შოუმ დაასრულა.

კოსტიუმირებულ კარნავალს დაემთხვა გორში ოქონის ხატის ასლი ჩაბრძანება. ხატი ეროვნულ მუზეუმში, ორიგინალთან ერთად 40 დღის განმავლობაში ინახებოდა. სიწმინდე გორელების შემოწირულობით და მეუფე ანდრის ლოცვა-კურთხევით დამზადდა. ის გორისა და სამთავისის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრიამ ადგილზე მრევლთან ერთად ჩააბრძანა. გორის შესასვლელში ხატს მოსახლეობა დახვდა, რის შემდეგაც საზეიმო მსვლელობა ქალაქის ქუჩებში მოეწყო. მრევლმა ბაირაღებითა და გალობით ხატი მშენებარე ოქონის ტაძრის ნიშასთან მიაბრძანა, საიდანაც ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს. ხატი იქ ოქონის ტაძრის მშენებლობის დასრულებამდე დარჩება.

– სპილოს ძვლისგან დამზადებული ხატი ვერცხლითაა მოჭედილი და სამნაწილიან ტრიპტიქონს წარმოადგენს მასზე გამოსახული ღვთისმშობლით, იესოთი და იოანე ნათლისმცემლით. „ოქონის ხატი“ თავის წარმოშობის სათავეს ბიზანტიის ქალაქ იკონიიდან იღებს. ჰერაკლეს იმპერატორობის დროს, არაბთა დაპყრობების გამო ხატის მცველებმა სიწმინდე ბიზანტიის ქალაქ იკონიიდან კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, XI საუკუნიდან ხატი, როგორც ელენე დედოფლის მზითვი საქართველოში ჩამოაბრძანეს. XIII საუკუნიდან კი „ოქონის ხატი“ გორში იქნა დაბრძანებული, როგორც გორის მფარველი და მცველი. საუკუნეთა მანძილზე სიწმინდეს კიდევ რამდენჯერმე შეუცვალეს ადგილი, საბოლოოდ კი 1925 წლიდან ცხინვალის მუზეუმში იყო დაბრძანებული, სანამ 1991 წელს გაურკვეველ ვითარებაში არ დაიკარგა. ხატი 2001 წელს კრისტის აუქციონზე აღმოაჩინეს, 2004 წელს საქართველოში ჩამოაბრძანეს და თბილისის სახელმწიფო მუზეუმის საგანძურში მოათავსეს. თამარ მეფის სახელს უკავშირდება გორში ოქონობის დღესასწაულის ტრადიციაც, რომელიც ოთხი წელია სამთავისის და გორის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე ანდრიას ლოცვა-კურთხევით აღდგა და ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს აღინიშნება, – განმარტა მეუფე ანდრიას მდივანმა დედა სესილიამ.

წელს გორში ოქონობის'სახალხო დღესასწაული 17 აპრილს აღინიშნა.

– „ოქონობაზე“ ჩვეულებისამებრ მრავალი ღონისძიება ჩატარდა. დღე ტრადიციულად ოქონის ნიშთან დაიწყო, სადაც ოქონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მშენებარე ტაძარში სამთავისისა და გორის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ჩაატარა. წირვის შემდეგ მრევლმა საზეიმო მსვლელობით ქალაქის ქუჩები შემოიარა. სერგი მაკალათიას სახელობის გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო აღნიშნული მუზეუმის ექსპონატები და გორის ფოტოები. გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლის „დავა, გაყრა, ძუნწი, ანუ როგორც გენებოთ“ ჩვენება გაიმართა. „ოქონობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, დღის ბოლოს გორის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზში კონცერტი ჩატარდა. ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტის მიწვევით დუეტმა „ჯორჯიამ“ იმღერა. „ოქონობა“ გორში წელს მეცხრედ აღინიშნა. დღესასწაული საუკუნეების წინ მივიწყებული ტრადიციაა, რომელიც სამთავისისა და გორის მიტროპოლიტ ანდრიას ლოცვა-კურთხევით აღდგა და გორელების საყვარელ დღესასწაულად იქცა, – განაცხადა დედა სესილიამ.

# ქეთი მელუა უმდიდრესი მომღერლების სიაშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლოვანების მილიონერთა სიაში კი კვლავ რჩება 20 წლის დენიელ რედკლიფი, რომელიც 54 მილიონ ფუნტ სტერლინგს ფლობს. ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი ახალგაზრდა მოდელი კი კირა ნაითლია, რომლის ანგარიშზეც 30 მილიონი ფუნტი სტერლინგია.

ქეთი მელუა არც შემოქმედებითად აპირებს გაჩერებას და არც საგასტროლო თვალსაზრისით. მისთვის დიდი პატივია, რომ ინგლისის დედოფლის ელისაბედ მეორის გამორჩეულად საყვარელი მომღერალია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მომღერალმა პირადი ცხოვრებისთვისაც მოიცალა და ცხოვრების თანამგზავრად ცნობილი მოტომრბოლელი აირჩია, ეს სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ ევროპაში საგასტროლო ტურნე დაგეგმოს. ქეთი მელუას კონცერტები ევროპაში 26 ივნისს დანიიდან დაიწყო, რომელიც ნორვეგიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ესპანეთში გაგრძელდება. აგვისტოში ქართველ მომღერალს დასვენება აქვს გადაწყვეტილი, თუმცა ორი კონცერტი ნორვეგიაში 23 და 25 აგვისტოს ჩატარდება. ოქტომბრის თვიდან კი მომღერალი ევროპულ საგასტროლო ტურნეს უკვე დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ჩეხეთში, ავსტრიაში, პოლონეთში, შვედეთში, ლატვიაში, ლიტვაში და დანიაში გამართავს. ქეთი მელუას ევროპული ტურნე 2013 წელსაც გაგრძელდება და იგი საფრანგეთში თებერვლის თვეში დაგეგმილი 12 კონცერტით დასრულდება. როგორც ჩანს, საქართველო ქეთი მელუას ევროპული ტურნეს ფარგლებში ვერ მოხვდა, როდის ჩამოვა ქართველი მომღერალი მშობლიურ ქვეყანაში და ჩაატარებს თუ არა კონცერტს, ჯერჯერობით უცნობია.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავლისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბ,ბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული მეწველი, 12 ნამატით, მომკვლელების საცხოვრებლითა და კაპიტალური საძროხით, მთელი წელი საძოვრით უზრუნველყოფილი. გლდანის ციხიდან 7კმ.-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● დავიქირავებ ძროხების ფერმის მომვლელ ორ პიროვნებას. ფერმა მდებარეობის გლდანის ციხიდან 7 კმ-ში. ტელ: 591-409-131.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# ესპანეთი თბილისში კონტინენტის ტიტულით მოდის

**ესპანეთი – იტალია 4:0**

1:0 სილვა (14), 2:0 ალბა (41), 3:0 ტორესი (84), 4:0 მატა (88)

**ესპანეთი:** კასილიასი, პიკე, რამოსი, არბელოა, ალბა, ბუსკეტსი, ალონსო, ჩავი, ინიესტა (მატა 87), სილვა (პედრო 60), ფაბრეგასი (ტორესი 75)

**იტალია:** ბუფონი, აბატე, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი (ბალძარეტი 21), მარკიზიო, დე როსი, მონტოლივო (მოტა 57), პირლო, ბალოტელი, კასანო (დი ნატალე 46)

დიდი ხანია ევროპას ასე არათანაბარი ფინალი არ უნახავს. ესპანელებმა ევროპის ჩემპიონატის დაწყებიდან პირველად აჩვენეს ასეთი მძლავრი თამაში. შესანიშნავი კომბინაციები, ბასრი პასები, რომელიც შვეიცარიული ყველივით ჭრიდა იტალიელთა დაცვას, რომლებიც ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ მეტოქეს. მას ასე – ესპანეთი ევროპის ჩემპიონია და ამ რანგში შემდეგი გაჩერება თბილისში, საქართველოს ნაკრებთან აქვს. შეგახსენებთ, რომ 2014-ის მუნდიალის საკვალიფიკაციო ჯგუფში ესპანელთა ერთ-ერთი მეტოქე საქართველოცაა და „ფურია როხა" თბილისს 11 სექტემბერს ეწვევა

ესპანელებმა თავიდანვე იგდეს ხელთ ინიციატივა. თავდაპირველად იტალიელთა კარს ჩავი დაემუქრა, როდესაც მორიგი კომბინაციის შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან ურტყამდა, მაგრამ ბურთი ოდნავ გადასცდა კარს. მე-14 წუთზე კი ანგარიში მაინც გაიხსნა – ინიესტამ ჩვეულად ჩინებული პასი მისცა ფაბრეგასს, რომელიც ჯორჯო კიელინის გაექცა, სიღრმეში ჩააწოდა, სადაც ბურთს დავიდ სილვა შეწვდა – 1:0.

ამის შემდეგ იტალია თითქოს გააქტიურდა, მოაწოდა რამდენიმე კუთხური, ანტონიო კასანომ კარშიც დაარტყა, მაგრამ იკერ კასილიასს ვერაფერი მოუხერხა.

თუმცა სურათი დიდხანს და დიდად არ შეცვლილა – ესპანეთი აშკარად ბატონობდა ცენტრში, სადაც მათ მარკიზიო, დე როსისა და მონტოლივოს ტრიო ვერაფერს უპირიპირებდა და შედეგად მეორე გოლიც გავიდა. 41-ე წუთზე ჩავის პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩა შეტევაში ჩართული ხორდი ალბა, რომელმაც ბუფონს არანაირი შანსი არ დაუტოვა – 2:0.

ტაიმის ბოლოს მონტოლივომ და სილვამ დარტყმები გაცვალეს, თუმცა ორივეჯერ მეკარეებმა იყოჩაღეს.

იტალიას დასაკარგი არაფერი ჰქონდა, მიტომ მეორე ტაიმში უნდა შეეტია, თუმცა პრანდელის გუნდი ორჯერ გადაურჩა გაშვებას და კიდევ, იყო ეპიზოდი, როცა რამოსის თავით დარტყმული ბურთი ბონუჩის ხელზე მოხვდა საჯარიმოში, თუმცა მსაჯმა პენალტის დანიშნვა საჭიროდ არ მიიჩნია.

50-ე წუთზე კი დი ნატალეს რომ გაეტანა, შესაძლოა, მატჩიც სხვა სცენარით გაგრძელებულიყო, მაგრამ ფორვარდს კასილიასმა აუღო და ამის შემდეგ დარჩენილ დროში საქმე აღარ ჰქონია.

იტალიელები მატჩის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე უშანსოდ დარჩნენ – ტიაგო მოტა დაშავდა და თამაში ვერ გააგრძელა. რადგან პრანდელის სამივე შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდა, აპენინელები მოედანზე კაცნაკლული დარჩნენ. თუმცა, ესპანელები იმდენად კარგად თამაშობდნენ, მოტას მოედანზე ყოფნაც ვერ შეუშლიდა ხელს ჩემპიონობაში.

იტალია ცდილობდა მაინც შეეტია, მაგრამ გოლები მატ კარში გადიოდა.

84-ე წუთზე შეცვლაზე შესული ტორესი ჩავის მორიგი გენიალური პასის შემდეგ პირისპირ დარჩა ბუფონთან და 3:0; მალევე, ტორესი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა რანდევუზე იტალიელ მეკარესთან, დარტმა თავადაც შეეძლო, მაგრამ იქვე უკეთეს პოზიციაში მყოფ მატას მიართვა ბურთი და – 4:0. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტორესს შეეძლო თავად ვერ გაეტანა და ამ პასის მნიშვნელობაზე ოდნავ ქვევით ვისაუბრებთ. ხოლო მატამ ამ ჩემპიონატზე ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა – მას ფინალამდე საერთოდ არ უთამაშია და იტალაისთანაც, მხოლოდ 87-ე წუთზე შეიყვანა დელ ბოსკემ მინდორზე.

### მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — ანდრეს ინიესტა

ესპანეთის ნაკრებში ბევრმა ითამაშა ძალიან კარგად, თითქმის მთელმა გუნდმა და რომელიმე მათგანის დაკნინება სულაც არ გვინდა. უბრალოდ, საუკეთესო მაინც ინიესტა იყო, რომელიც ყველაზე იოლად ამწვავებდა სიტუაციას მეტოქის კართან, რომლის ბურთის მიღება და პრობლემები იტალიელთა დაცვაში ერთი იყო.

მატჩის შემდეგ

ვისენტე დელ ბოსკე, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი:

– სანამ მატჩის შეფასებას დავიწყებდე, მინდა აღვნიშნო, რომ ზოგჯერ ყველა მარცხდება, – განაცხადა „ფურია როხას" დამრიგებელმა, – იტალიამ ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნირი, მაგრამ დღეს მოტას ტრავმა მათთვის საბედისწერო გამოდგა. ჩემი ფეხბურთელები მთლიანად აკონტროლებდნენ ბურთს. პირველი გოლის შემდეგ მეტოქე უფრო კარგად ათამაშდა და მეტად საშიშიც გახდა, მაგრამ ჩვენ ზეწოლა გავაგრძელეთ. ეს ისტორიული მიღწევაა ესპანური ფეხბურთისთვის. ახლა მომავლისკენ უნდა გავიხედოთ და ვეცადოთ, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი წარმატებით დავძლიოთ. გაგვიხარდება, თუ ჩვენს თამაშში რაღაცის შეცვლას მოვახერხებთ. თავის დროზე ლუის არაგონესმა სწორი გზა დაგვანახა და ჩვენც მივყვებით მას. ახლა ხშირად საუბრობენ ესპანელი ფეხბურთელების დღევანდელ არაჩვეულებრივ თაობაზე. ვფიქრობ, ჩვენ შევქმენით რაღაც, რაც უწინ ფეხბურთში არ იყო, ამიტომ მინდა ეს გამარჯვება მივუძღვნა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტში მონაწილეობდა, ვისაც ჩვენი წარმატებისა სჯეროდა და ჩვენს სტილს აყალიბებდა. ვესაუბრე ესპანეთის მეფესა და უფლისწულს, ისინი ძალიან გახარებულები არიან. შევთანხმდით, რომ ხვალ ისევ შევხდებით. დღეს ესპანელთათვის ჯადოსნური საღამოა!

**ჩეზარე პრანდელი, იტალიის ნაკრების მწვრთნელი:**

– ცოტა დაღლილები ვიყავით. კიევში ხომ პარასკევ საღამოს ჩამოვედით, – განაცხადა პრანდელიმ, – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონების წინააღმდეგ ვთამაშობდით, მეორე ტაიმში რამდენიმე მომენტიც შევქმენით, მაგრამ მოტას ტრავმის შემდეგ აღარაფერი გამოგვივიდა. ისე, ტურნირი შესანიშნავად ჩავატარეთ. საწყენია, რომ ორი დღით მეტი დასვენების საშუალება არ მოგვეცა. ჯგუფის პირველ მატჩში ესპანელებს კარგად ვეთამაშეთ და მგონი, მათ ცოტა ეშინოდათ კიდეც ჩვენი. მაგრამ დღეს გვაჯობეს. ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ გამარჯვება. კიდევ გავიმეორებ, დაღლილები ვიყავით, მონტოლივო ძლივს იდგა ფეხზე, ამიტომ მოტას გამოყვანა გადავწყვიტეთ, მაგრამ. ესპანელები კი ისტორიაში შევიდნენ. მათ უმაღლესი კლასის ბევრი მოთამაშე ჰყავთ და გამოკვეთილი ცენტრფორვარდის გარეშეც, ნებისმიერი გუნდის დაცვას დიდ პრობლემებს უქმნიდნენ. რა ვუთხარი ნამატჩევს ბალოტელის? ის, რომ ცხოვრება ასეთია და ასეთად უნდა მიიღოს. საკუთარ შეცდომებზე უნდა ისწავლო. დღეს ბევრნი გულდაწყვეტილნი იყვნენ, მაგრამ ეს ფეხბურთია, ვიღაც იგებს, ვიღაც – აგებს. ცხადია, კარგი იქნებოდა, გაგვემარჯვა, მაგრამ რა გაეწყობა. ისე კი, ტურნირი კარგად ჩავატარეთ, დავამტკიცეთ, რომ ძლიერი გუნდი გვყავს. ერთი ხანი დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ნაკრებში მუშაობას გავაგრძელებდი, მაგრამ, ახლა, ალბათ, კვლავაც ვითანამშრომლებთ. ეს რთული, მაგრამ საინტერესო პროექტი იქნება.

### ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი — ინიესტა

უეფამ ევრო-2012-ის საუკეთესო ფეხბურთელად ანდრეს ინიესტა დაასახელა. ესპანელ ნახევარმცველს გოლი არ გაუტანია, თუმცა გუნდის შეტევების სული და გული იყო, მისმა ბრწყინვალე პასებმა და ინდივიდუალურმა მოქმედებებმაც დიდწილად განაპირობა „ფურია როხას" ჩემპიონობა.

– ინიესტას სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ უეფა კრეატიულ და მწვავე ფეხბურთს აღიარებს, – განაცხადა უეფას ტექნიკურმა დირექტორმა ენდი როქსბურგმა.

### ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი — ფერნანდო ტორესი

ევრო-2012-ის „ოქროს ბუცის" მფლობელი ფერნანდო ტორესი გახდა, რომელმაც ფინალში ბოლო 15 წუთი ითამაშა, თუმცა გოლის გატანაც და ზემოთ ნახსენები საგოლე პასის გაკეთებაც მოასწრო. სწორედ ამ პასმა გადაწყვიტა ჯილდო მის სასარგებლოდ. მას დაუგროვდა 3 გოლი და ერთი საგოლე პასი. ასეთივე მაჩვენებელი აქვს გერმანელ მარიო გომესსაც, თუმცა „ელ ნინიომ" უფრო ნაკლები დრო გაატრა მინდორზე – 189 წუთი. გომესის მაჩვენებელი კი, 279 წუთია.

ასევე 3-3 გოლი გაიტანეს ალან ძაგოევმა (რუსეთი), მარიო ბალოტელიმ (იტალია), კრიშტიანუ რონალდუმ (პორტუგალია) და მარიო მანჯუკიჩმა (ხორვატია), თუმცა ამ ოთხეულს საგოლე პასი არ გაუკეთებიათ.

### გოლ პლუს პას

ამ ნომინაციაში კი საუკეთესო ასევე ესპანელი დავიდ სილვა გახლდა, რომელიც ერთადერთი ფეხბურთელია, ამ ჩემპიონატზე 5 ქულის გაკეთება რომ მოახერხა. ესპანელმა ნახევარმცველმა 2 ბურთი თავად გაიტანა (ირლანდიასთან და იტალიასთან), ხოლო 3-ჯერ თანაგუნდელებს გაატანინა (იტალიასთან და 2-ჯერ – ირლანდიასთან).

4 ქულა მოაგროვეს ესპანელმა ფერნანდო ტორესმა (3 გოლი;1 პასი) და გერმანელებმა – მესუთ იოზილმა (1;3) და მარიო გომესმა (3;1).

### უეფას სიმბოლური 23

უეფას კომპეტენტურმა ჟიურიმ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე მოთამაშე 23 საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. რა გასაკვირია, რომ ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჩემპიონ ესპანეთის ნაკრებს ჰყავს.

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია), იკერ კასილიასი (ესპანეთი), მანუელ ნოიერი (გერმანია);

**მცველები:** ჟერარ პიკე, ხორდი ალბა, სერხიო რამოსი (ყველა – ესპანეთი), ფაბიუ კოენტრაუ, პეპე (ორივე – პორტუგალია), ფილიპ ლამი (გერმანია);

**ნახევარმცველები:** დანიელე დე როსი, ანდრეა პირლო (ორივე – იტალია), ჩავი, ანდრეს ინიესტა, სერხიო ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო, დავიდ სილვა, სესკ ფაბრეგასი (ყველა – ესპანეთი), სტივენ ჯერარდი (ინგლისი), სამი ხედირა, მესუთ იოზილი (ორივე – გერმანია);

**თავდამსხმელები:** კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), მარიო ბალოტელი (იტალია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი).

# შენგელია ვაშინგტონ პოსტმაც შეაფასა

„ვაშინგტონ პოსტში" თორნიკე შენგელიას შესახებ მოზრდილი სტატია გამოქვეყნდა, რომელიც ფაქტობრივად ქართველი კალათბურთელის ამერიკელ აგენტ გაი ცუკეთან ინტერვიუს წარმოადგენს. კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდი ამ სტატიის თარგმანს გთავაზობთ, რომლის სათაურია – „ნეთსის" მეორე რაუნდის არჩევანი თორნიკე შენგელია ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე ითამაშებს



მას შემდეგ, რაც „ნეთსმა" დრაფტის საღამოს „ფილადელფიისგან" თორნიკე შენგელია მოიპოვა, კლუბის გენერალუმა მენეჯერმა, ბილი კინგმა განაცხადა, რომ ის ფიქრობს, ქართველმა ფორვარდმა მომდევნო სეზონი კვლავ ევროპაში გაატაროს. თუმცა მას შემდეგ ვითარება შეიცვალა. შენგელია და მისი აგენტი გაი ცუკერი ვარაუდობენ, რომ საქართველოს ნაკრების წევრს შანსი მიეცემა, ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე „ნეთსის" ხელმძღვანელებზე შთაბეჭდილება მოახდინოს.

– ვიცი, რომ „ნეთსს" სურს შენგელიას დატოვება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ორლანდოს კემპის შემდეგ მიიღებენ. მას ამ გუნდთან არასდროს უვარჯიშია, „ნეთსის" მწვრთნელებს არ უნახავთ შენგელია საქმეში. საინტერესოა, რას იტყვიან ისინი მას შემდეგ, რაც შენგელიას თამაშს ცოცხლად იხილავენ. თუკი შენგელიას ევროპაში დააბრუნებენ, ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით იქნება მიღებული, – აცხადებს ცუკერი., რომელიც ვარაუდობს, რომ თუკი შენგელია ორლანდოში კარგად წარმოაჩენს თავს, „ნეთსს" ბელგიური „შარლერუასგან" ქართველის კონტრაქტის გამოსყიდვა მოუწევს. შენგელიას ბელგიურ კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

– ძალიან საინტერესო იქნება შენგელიას თამაში ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე. შენგელიამ ერთხელ უკვე გამოაჩინა კარგი თვისებები, როცა ის ტრევიზოს კემპზე იყო, ახლა კი უფრო სერიოზული გამოცდა ელის. ის ორლანდოში ჯულიან რაიტთან და ადამ მორისონთან ერთთან ითამაშებს. იქ გამოჩნდება, ჯობს თუ არა შენგელია წინა დრაფტებზე „ნეთსის" მიერ აყვანილ ამ მოთამაშეებს. თორნიკე ძალიან მიზანდასახული და გონებამახვილურად მოთამაშე კალათბურთელია და ვფიქრობ, ის ტოლს არავის დაუდებს, – განაგრძობს ცუკერი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ 21 წლისაც არაა, შენგელიას უმაღლეს დონეზე თამაშის საკმარისი გამოცდილება აქვს. მან კარიერა 2008-09 წლების სეზონში ესპანეთის პრიმერადივიზიონში დაიწყო, თუმცა „ვალენსიას" შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა. ბელგიურ „შარლერუაში" გადასვლის შემდეგ შენგელიას სისტემატურად უწევდა მოედანზე ყოფნა. ამ სეზონის ბოლო მატჩში მისი გუნდი ბელგიის ჩემპიონატის სუპერფინალში დამატებით დროში დამარცხდა. ამ შეხვედრაში შენგელიამ 16 ქულა მოაგროვა – თამაშიდან 9 ცდიდან 6 ბურთი ჩააგდო. ევროლიგაში ქართველმა 12 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 7,6 ქულას აგდებდა. შენგელია იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი და დივიზიონში საშუალოდ 30 ქულასა და 12 მოხსნას აგროვებდა.

თუ შენგელია ორლანდოს კემპზე ითამაშებს, მას იქ ყოფილ თანაგუნდელ ტორინ გრინის მხარდამხარ მოუწევს თამაში. გრინი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა შენგელიასთან ერთად.

წინასწარი ვარაუდით, ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე „ნეთსის" შემადგენლობაში შენგელიას, ადამ მორისონის, ტორინ გრინის და ჯულიან რაიტის გარდა ითამაშებს ალ თორნთონი.

# მეტალურგი ალბანეთისთვის გაემზადა

როგორც უკვე ვწერდით, ქართული კლუბებიდან ევროსეზონს ყველაზე ადრე რუსთავის „მეტალურგი" და ქუთაისის „ტორპედო" იწყებენ – ორივე კლუბი ევროპის ლიგის პირველი ეტაპის მატჩებს 5 ივლისს გამართავს.

რუსთავის „მეტალურგი" ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველ მატჩს ხუთშაბათს, 5 ივლისს გამართავს – ალბანეთში მისი მეტოქე „ტეუტა" იქნება.

საქართველოს ვიცე-ჩემპიონი თბილისიდან 4 ივლისის დილას სტამბული-ტირანას ავიარეისით გაემგზავრება. შემდეგ ავტობუსით იმგზავრებს და დანიშნულების ადგილზეც ჩააღწევს.

საღამოს „მეტალურგი" იმ სტადიონზე ივარჯიშებს, სადაც მეორე დღეს შეხვედრას გამართავს.

გუნდის მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს ალბანეთში 18 ფეხბურთელი მიჰყავს:

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი;

მცველები: გივი კვარაცხელია, მიხეილ მახვილაძე, გიორგი გავაშელიშვილი, ზვიად ლობჟანიძე, ანზორ სუხიაშვილი, ლაშა ჯაფარიძე, თორნიკე კაკუშაძე;

ნახევარმცველები: ლუკა რაზმაძე, დენის დობროვოლსკი, რევაზ გეწაძე, გიორგი თექთურმანიძე, გიორგი მიქაბერიძე, ირაკლი მაისურაძე, გიორგი ქავთარაძე;

თავდამსხმელები: ირაკლი სიხარულიძე, დიმიტრი ტატანაშვილი.

– სლოვენიაში შესანიშნავი სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობები გვქონდა შექმნილი და საკმაოდ ძლიერ მეტოქეებსაც ვეთამაშეთ, რამაც საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები თვალნათლივ დაგვანახვა. „ტეუტასთან" მატჩის წინ რუსთავში ვვარჯიშობთ და ტაქტიკა-სტრატეგიას ვამუშავებთ. შევეცდებით, ევროთასებს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ და ღირსეული შედეგი ვაჩვენოთ. ყველანაირად ვცდილობთ, რომ „ტეუტას" შესახებ ცნობები მოვიძიოთ და, ვფიქრობ, ამას შევძლებთ კიდეც. ხელწამოსაკრავი მეტოქე არ გვყავს, მაგრამ წყვილის ფავორიტად მაინც „მეტალურგი" მიმაჩნია. კარგია, რომ პირველ მატჩს სტუმრად ჩავატარებთ. ეს თამაში მოწინააღმდეგის შესახებ მაქსიმალურ წარმოდგენას შეგვიქმნის და საპასუხო შეხვედრისთვის სათანადოდ მომზადების საშუალებას მოგვცემს. ჯერ მხოლოდ პირველი ეტაპის დაძლევაზე ვფიქრობთ და „პლზენზე" ამის შემდეგ გადავერთვებით. რა თქმა უნდა, ძლიერი მოწინააღმდეგეა, მაგრამ მასთან ტოლ-სწორად ბრძოლასაც შევეცდებით, – აცხადებს რუსთაველთა მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-იტალია | 4:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ბაია-ინტერნასიონალი | 1:1 |
| კურიტიბა-რესიფე | 2:3 |
| პორტუგეზა-სანტოსი | 0:0 |
| გრემიო-ატლეტიკო(მ) | 0:1 |
| პალმეირასი-ფიგუირენსე | 3:1 |
| ფლამენგო-ატლეტიკო(გ) | 3:2 |

**კალათბურთი**

**ოლიმპიადა. საკვალიფიკაციო ტურნირი ქალები**

| | |
|---|---|
| კანადა-იაპონია | 71:63 |

# ალესანდრო დელ პიერო ტიფოზებს დაემშვიდობა

ტურინის „"იუვენტუსის" გულშემატკივართ კარგი დროება არ დგას – მათი ლეგენდარული ფეხბურთელი ალესანდრო დელ პიერო ოფიციალურად წავიდა მათი კლუბიდან, ამის შესახებ კი თავად დელ პიერომ გულშემატკივრებს ღია წერილში ამცნო. ლეგენდარული „ათიანი" თავის წერილში წერს:

– ყველაფერი დღეს დამთავრდა და ჩემი კონტრაქტი „იუვენტუსთან" დღეს ამოიწურა. რა თქმა უნდა, ეს ახალი ამბავი არავისთვისაა, რადგან ჯერ კიდევ სეზონის დამთავრებამდე განვაცხადე ამის შესახებ, თუმცა ოფიციალურობა მაინც რაღაცას ნიშნავს. ეს მომენტი არანაირად არ არის ჩემთვის გულდასაწყვეტი და არც მაქვს არანაირი მწუხარება ან ნოსტალგია. მე საკმარისი დრო მქონდა იმისათვის, რათა დავფიქრებულიყავი იმაზე, თუ რა მოხდა ჩემს თავს ბოლო სეზონში „იუვეში". ძალიან მაგარი და გასახარი მომენტების გახსენება, მოგებები და სამართლიანები რომ ვიყოთ, ძალზე საწყენი წაგებებიც დღეს ჩემს თვალწინ დგას. ბოლოსკენ აუცილებლად ჩემი უკანასკნელი მატჩი უნდა ავღნიშნოთ, რომელიც 13 მაისს შედგა და რაღაც განსაკუთრებული იყო და მას აუცილებლად გულში შევინახავ ბოლომდე – უბრალოდ შეუძლებელია, ასეთი რამ დაივიწყო. ჩემს გარდა კიდევ რამოდენიმე ფეხბურთელმა დატოვა გუნდი, თუმცა ეს „იუვენტუსია"! ძალიან მაგარი ფეხბურთელები არიან შეკრებილნი, მათ ყოველთვის საუკეთესოს ვუსურვებ და მუდამ ვუგულშემატკივრებ მათ. ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს მერე „ბიანკონერიში" 10 ნომრით კიდევ იასპარეზებს ვიღაც. ძალიან ბედნიერი ვიქნები ნებისმიერისავით, ვინც ამ 10 ნომერს დაისაკუთრებს და ძალიან გავიხარებ იმ ფაქტითაც, თუ ვინმეს ენდომება ჩემი მობაძვა, როგორც თავის დროზე იყვნენ სხვა ჩემპიონები ჩემი კერპები. ხვალინდელი დღის შემდეგ, აღარ ვიქნები ტურინის „იუვენტუსის" ფეხბურთელი, თუმცა მე ერთ-ერთი თქვენგანი ყოველთვის დავრჩები. ახლა კი ახალი ეტაპი იწყება, როგორც 19 წლის წინათ.

არივედერჩი და დიდი მადლობა ყველაფრისთვის!

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სიმართლე გიორგი სააკაძეზე

ამ სათაურით წიგნად გამოქვეყნდა (გამომცემელი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება) როსტომ ჩხეიძის ლიტერატურულ-ისტორიული ესეებისა და პოლემიკური სტატიების ციკლი, რომელიც ამ ოცი წლის განმავლობაში დროდადრო იბეჭდებოდა გაზეთების – „ლიტერატურული საქართველო“, „საქართველო“, „ჩვენი მწერლობა“ – და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და წარმოადგენს მიუკერძოებელ განსჯასა და შეფასებას გიორგი სააკაძის სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობისა და ზნეობრივი პორტრეტისა.

არსებობს ორი გიორგი სააკაძე.

ერთი – XVII საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწე, ისტორიული პიროვნება თავისი ღირსებითა და ნაკლით, გამორჩეული როგორც სასახელო საქმეებით, ისე დანაშაულებრივი ქმედებებით თავისი სამშობლოს წინაშე.




და მეორე – საბჭოთა მითოსის პერსონაჟი, ვისი პორტრეტიც დამუშავდა პირადად იოსებ სტალინის შეხედულებათა მიხედვით და ყალბი ისტორიისა და არანაკლებ ყალბი კინემატოგრაფის წყალობით წარმოდგა უდიდეს გმირად და საქართველოს გამთლიანებისა და სახელმწიფოებრივი ძლიერების სიმბოლოდ.

პირადად საბჭოთა იმპერატორის მითითებათა გამო ამოიშალა გიორგი სააკაძის ბიოგრაფიიდან სათაკილო ეპიზოდები – ირანელთა 1616 წლის სამხედრო ექსპედიციის ხელმძღვანელობაც, მონაწილეობაც წმინდანად შერაცხილი მეფე ლუარსაბ მეორის სიკვდილით დასჯაშიც, მარტყოფის აჯანყების წინარე ხანს შაჰ-აბასის მსტოვრის ხელში ჩაგდებაც და იმ საიდუმლო ბარათის მოპოვებაც, თბილისის აღების შემდეგ გიორგი სააკაძეს სიკვდილი რომ ემუქრებოდა, და ამიტომაც გახდა იძულებული დაკავშირებოდა მეფე თეიმურაზ პირველს და მასთან ერთად მოეხდინა აჯანყება, ბაზალეთის ძმათამკვლელი ომის წამოწყებაც...

გიორგი სააკაძის ბიოგრაფია შესანიშნავი სატყუარა გახლდათ იმ ყოვლად წარმოუდგენელი აზრის რეალურობის სამტკიცებლად, თითქოს შესაძლებელი იყოს ისე აღზევება შენი სამშობლოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს იერარქიულ კიბეზე, რომ გარეგნულად აკეთო შენი ქვეყნის დამაქცევარი საქმეები, ფარულად კი – მისი სასიკეთო. ამის მთქმელი თავსაც იტყუებს და სხვათა მოტყუებასაც ცდილობს.

70-იან წლებში ედუარდ შევარდნაძემ დაისაჭიროვა გიორგი სააკაძის ყალბი სახის თავს მოხვევა ქვეყნისათვის და, როდესაც ფარნავაზ მეფის, აშოტ დიდის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალისა თუ სხვათა და სხვათა, ნამდვილი გმირებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა ქანდაკებანი არ გაგვაჩნდა, გიორგი სააკაძის ორი ძეგლი აღმართა – კასპსა და თბილისში.

როგორც საბჭოთა აზროვნებასა და მორალს სჩვეოდა, ცრუგმირი კიდევ ერთხელ გამოცხადდა ჭეშმარიტ გმირად, მიუხედავად იმისა, რომ მას მოღალატედ, რენეგატად და კონდოტიერად მიიჩნევდნენ აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, გრიგოლ აბაშიძე, ნიკო ბერძენიშვილი, ზვიად გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე, თამაზ ნატროშვილი, ეჭვის თვალით უყურებდნენ ილია ჭავჭავაძე თუ ივანე ჯავახიშვილი...

„სიმართლე გიორგი სააკაძეზე“ აღადგენს სტალინის მიერ გადაკეთებულ ბიოგრაფიას ჭეშმარიტების თარგზე, ავსებს გამოტოვებული ეპიზოდებით და ეს პიროვნებაც და მისი თანადროული ეპოქაც გააზრებულია ისე, როგორც სინამდვილეში იყო – არც არაფერია მიმატებული და არც არაფერი – გამოკლებული.

ესაა ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა განისჯებოდეს ისტორიული პიროვნებაც და ეპოქაც.

როსტომ ჩხეიძემ ლიტერატურულ-ისტორიული ესეებისა და ნარკვევების ამ ციკლისათვის უამრავი თავდასხმა იწვნია, ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებებითა და ცილისწამებებით სავსე, და ყველა – საბჭოური პოზიციებიდან. და მაინც, მის შეუპოვრობას უკვალოდ არ ჩაუვლია და საგრძნობლად შეირყა გიორგი სააკაძის საბჭოურ-მითოსური სახება, თუმც ბოლომდეა გასაქარწყლებელი ცრუ საბურველი, რათა შთამომავლობის თვალში ყალბი გმირი აღარ ფარავდეს ჭეშმარიტ გმირებს და ყველას თავთავისი კუთვნილი მიეზღოს.

**მედიანიუსი**



# „დაკარგული ედემი“ ეროვნულ მუზეუმშია

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში კონსტანტინე მინდაძემ გამოფენა სახელწოდებით „ინტოქსიკაცია და ინსპირირებული ერორები“ – ნაწილი მეორე – დაკარგული ედემი წარმოადგინა.**

ახალი ინსტალაცია „დაკარგული ედემი“ თანამედროვე ქართველი მხატვარის ავტობიოგრაფიული ნამუშევარია და ის მხატვრის თვალით დანახულ ედემზე მოგვითხრობს. კოტე მინდაძის ორნაწილიანი ინსტალაცია სხვადასხვა სიმბოლოს გამოხატავს – „ინტოქსიკაცია და ინსპირირებული ერორების“ პირველი ნაწილი ქართველმა მხატვარმა გასული წლის ნოემბერში წინანდალში წარმოადგინა. ახლანდელი გამოფენა კი წინანდლის გამოფენის ერთგვარი გაგრძელებაა. გამოფენა ეროვნულ მუზეუმში 13 ივლისამდე გაგრძელდება.

**კონსტანტინე მინდაძე, ინსტალაციის ავტორი:**

– გასული წლის ნოემბრიდან, როცა პირველად წარმოვადგინე „ინტოქსიკაცია და ინსპირაციული ერორები“ – ნაწილი პირველი – „ინსპირაციის შავი ხვრელი“, რომლის ძირითადი თემა გახლდათ ინფორმაცია და მისგან გამოწვეული სტრესის დაძლევა გლობალიზაციის ფონზე, რომელიც აგრეთვე ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულ ნამუშევრადაც მიმაჩნია, უკვე ვფიქრობდი თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ედემიდან განდევნა დღევანდელობაში და ვამუშავებდი წამოწყებული აქტიურ-სივრცული ინსტალაციების ციკლის მეორე ნაწილის ცალკეული ელემენტების პირველ იმპულსურ ჩანახატებს. ამ პერიოდში ხელახლა ჩავუღრმავდი ისეთ ეპიკურ ლიტერატურას როგორებიცაა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ და ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“. არა იმიტომ, რომ მე მათი პირდაპირი ვიზუალიზაციის შექმნას ვაპირებდი, არამედ უბრალოდ გარკვეული ელემენტების ტრანსფორმაციას სხვა მედიუმებში და მათ ჩასმას დღეისათვის აქტუალურ ახალ კონტექსტებში. დავრწმუნდი, რომ უილიამ ბლეიკის უკვდავმა პოემამ „ანდაზები ჯოჯოხეთიდან“ – ნაწარმოებიდან „სამოთხისა და ჯოჯოხეთის ქორწინება“ დაწერილი 1797 წელს ყველანაირი პასუხი გამცა და იყო საკმარისზე მეტი გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ გახლავთ ჩემი ძირითადი ინსპირაცია მნიშვნელოვნად შესამჩნევი ელემენტების შესაქმნელად, ექსკლუზიურად აგებული მეორე ნაწილისთვის წარმოდგენილ ნამუშევარში.

***– როგორ ემზადებოდით ამ ინსტალაციისთვის?***

– მზადების პროცესები დაიწყო მიმდინარე წლის დასაწყისში, საბოლოო ტექნიკური ვიზუალური ესკიზების მიხედვით და ახლა პირველად წარმოვადგინე ამ ყველაფრის შედეგი – თუ მეტაფორულად როგორ ვხედავ „დაკარგულ ედემს“ დღეს და არამარტო დღეს. ეს არის თუ როგორ წარმომიდგენია ის უსასრულო დროის მსვლელობებში, სიცოცხლის არსობიდან – ღრმა წარსულიდან, საწყისიდან თუ დიდი აფეთქებიდან – რაც გინდათ ის უწოდეთ, შორ მომავლამდე, უსასრულობამდე და ისევ რანდომულად, როცა აწმყო ყველაფერს აერთიანებს, თავისი პლუსებით და მინუსებით. მეცნიერების განვითარება მნიშვნელოვანია და კონსუმერიზმი რამდენადაც იგი ირონიულ-სულელურად არ უნდა გამოიყურებოდეს, გვანიჭებს კომფორტს, რომლის დოზები სულ უფრო და უფრო იზრდება და მოთხოვნადი ხდება. რელიგიების ასეთმა კომერციალიზაციამ გარდამაქმნევინა თვით ადამი და ევაც – ასოცირებულნი ბრენდებთან.

***– რა დატვირთვას ატარებს თქვენი „დაკარგული ედემი“?***

– „დაკარგული ედემი“ ატარებს ირონიას ჩვენს ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნებზე და არა პროტესტს მათ წინააღმდეგ. ვფიქრობ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პროგრესის ფონზე ადამიანის ინდივიდუალურობა, თუ უფრო სულიერება, შეიძლება გამკრთალდეს, თუმცა ეს შეუქცევადი პროცესია და შეუძლებელია მომავალი განვითარების გარეშე ზუსტად ისევე როგორც უცოდველად ცხოვრება წარმოუდგენელია.

***– რატომ დაინტერესდით ამ თემით?***

– ჩემი ინსტალაციის პირველი ნაწილი წარმოდგენილი იყო ნოემბერში წინანდალში. მის მერე გაჩნდა იდეა, რომ გამეკეთებინა მეორე ნაწილი იგივე ციკლიდან, უბრალოდ „დაკარგული ედემი“. მაინტერესებდა როგორ გამოიყურება დაკარგული ედემის იდეა დღეს.

**თათია ღვინერია, ხელოვნებათმცოდნე, პროექტის კურატორი:**

– ეს არის ავტორისეული ხედვა, ავტორისეული გააზრება სამოთხიდან განდევნის თემისა, რომელსაც იგი სხვადასხვაგავარი სიმბოლური ელემენტებით აღწევს. საბოლოო შთაბეჭდილება არის ორგვარი – მას აქვს ერთგვარი ესთეტური მხარე და ამავდროულად ის ქმნის ცოტა დამთრგუნველ შთაბეჭდილებასაც. ბორის გროისი თავის ერთ-ერთ სტატიაში „ხელოვნების რეტექნიზაცია“, აღნიშნავს, რომ დღევანდელ დღეს, ხელოვნების ნაწარმოების შექმნა და გადაწყვეტილება, მისთვის ხელოვნებად აღიარებისა, მარტივი და მყისიერია, თუმცა მისთვის სტატუსის მინიჭება „მატერიალური“ მოწმის არსებობის გარეშე, შეუძლებელია. მატერიალური მოწმე კი ერთდროულად ხდება ნაწარმოების ავტორი და მაყურებელი, რომელთა უხმო დიალოგიც საგამოფენო დარბაზში, ნამუშევრის დათვალიერებისას მიმდინარეობს. სწორედ აქ, ჩნდება საკითხი, რამდენად ადეკვატურად ესმით მოწმეებს ერთმანეთის, ანუ სთავაზობს თუ არა ავტორი დამთვალიერებელს ისეთ ფორმად ქმნილ იდეას, რომელიც მის ემოციას – დადებითს ან უარყოფითს გამოიწვევს.

***– რით არის თქვენთვის ეს ინსტალაცია გამორჩეული?***

– ბიბლიური, არნახული, სამოთხე, თუ ჯოჯოხეთი საუკუნეების განმავლობაში არაერთგზის გამხდარა ხელოვანთა შთაგონების წყარო, სადაც თითოეული ავტორი, ბიბლიური სამყაროს თავისებურ სახე-ხატს ქმნის, რომელიც თავისი მხატვრული გამომსახველი ფორმით, მარადიულად რჩება კაცობრიობის ხელოვნების ისტორიაში. გავიხსენოთ თუნდაც მაზაჩო „სამოთხიდან განდევნა“ ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“, დანტე ალიგიერი „ღვთაებრივი კომედია“ და სხვა ნაწარმოებები. თემა მართლაც რომ მარადიულია და ამავდროულად საკმაოდ რთულიც, რადგან ზღვარი ჭეშმარიტებასა და სიყალბეს შორის მცირეა, რომელსაც მაყურებელი მყისიერად გრძნობს. თანამედროვე ავტორის, კონსტანტინე მინდაძის პროექტის პირველწყარო, სწორედ ძველი აღქმის „სამოთხიდან განდევნის“ ეპიზოდია. თუმცა უილიამ ბლეიკის ნაწარმოების „სამოთხისა და ჯოჯოხეთის ქორწინების“ ინტერპრეტაციაზე და უსასურულო ციკლის – წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე დაყრდნობით. ავტორი სწორედ დღევანდელი, თანამედროვე ადამიანის რაკურსიდან აჩვენებს მას, როდესაც ფასეულობები ერთმანეთში სრულიად აღრეულია და სამოთხის ვაშლის ცდუნებაც ყოველწამიერი. რა არის თანამედროვე ადამიანისათვის თავად სამოთხე?! რომელიც ჩვენ მიერ დახოცილ ცხოველთა „მდუმარე სასაფლაოდ“-ღა გამოიყურება. რა იყო წარსულად სამოთხე, როგორია დღევანდელობიდან მისი ხედვა და როგორია მომავლის განჭვრეტა. საკმაოდ დიდი ზომის ინსტალაცია „ინტოქსიკაცია და ინსპირაციული ერორები“ ნაწილი მეორე „დაკარგული ედემი“, თითქმის ყველა, „სამოთხისეულ“ ელემენტს მოიცავს, რომელიც დამთვალიერებელს ემიჯნება ისე, როგორც განდევნილს. სწორედ განდევნის შემდეგ ცდილობს კაცობრიობა სამოთხის კართან მიახლოვებას. ან ცდილობს კი? იქნებ ისე დავშორდით სამოთხეს, რომ ველარც კი ვიხსენებთ თითოეულ ჩვენგანში ჩადებულ „ღვთის ხატის“ კოდს, რომელიც ადამიანის პირველსაწყის თავისუფლებასა და მის სრულყოფილებას ასახავს. „არტისტული ნამუშევრის მაგია უნიკალურია და განუყოფელი ხელოვანის სულისაგან“, ამბობს ბორის გროისი. წარმოდგენილი ნამუშევარიც, სწორედ ერთი ავტორის კონკრეტული თემისადმი ხედვას გვიჩვენებს და დამთვალიერებელს მარადიულ საკითხზე აფიქრებს. იმის გარკვევა თუ რამდენად მძაფრია მისი ხედვა წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, გამოფენაზე მოსულმა დამთვალიერებელმა და თავად ავტორმა განსაჯოს.

# ირანი ევროკავშირის სანავთობო ემბარგოს წინააღმდეგობას გაუწევს




ირანის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელ მაჰმუდ ბახმანის განცხადებით, ირანის ხელისუფლება ევროკავშირის მიერ ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ ნავთობის ემბარგოს წინააღმდეგობას გაუწევს. მისი თქმით, ქვეყნის ოქროს ვალუტის რეზერვების მარაგი იმპორტის დაფინანსებისათვის საკმარისი იქნება.

თუმცა ირანის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს არ დაუკონკრეტებია, თუ რა ზომების გატარებას აპირებს ირანი ევროკავშირთან მიმდინარე ნავთობის კონფლიქტში.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირში ირანული ნავთობის მიწოდებაზე ემბარგო დაწესდა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ირანული ნედლი ნავთობის შეტანა სრულად აიკრძალა. აღნიშნული სანქციები ევროკავშირმა ირანის წინააღმდეგ მას შემდეგ განახორციელა, რაც გაირკვა, რომ ირანი ბირთვულ იარაღს აწარმოებს.

ირანული მხარე ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვული იარაღის წარმოება მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით ხორციელდება.

ცნობისთვის, ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელება დაიწყო 1967 წელს, როდესაც აშშ-მა ირანის შაჰ მუჰამედ რეზა ფეჰლევის 5 მეგავატის სიმძლავრის ატომური რეაქტორი მისცა. რეაქტორების მშენებლობაში ტექნოლოგიურ დახმარებას ირანს შემდგომში უწევდნენ გერმანია და საფრანგეთი. ირანმა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას ხელი მოაწერა 1968 წელს, ხოლო რატიფიცირება გაუკეთა 1970 წელს.

**მოამზადა ვერა მამულაშვილმა**

hჳxცeჯჰცბ ,

**შვეულად:** 1. შავი ფერის, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად გამოთქმული მეცნიერული ვარაუდი; 3. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 4. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 5. საახალწლო ტკბილეული; 8. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 12. კარატისტის ოსტატობის მაჩვენებელი თანრიგი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 16. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 18. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. ძვირფასი ლითონი.

**თარაზულად:** 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 9. მუსლიმან მამაკაცთა თავსაბურველი; 10. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 11. სასჯელი ქურდობისათვის ძველ ქართულ სამართალში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ჰოლანდიაში; 17. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი ქონების რაოდენობის მიხედვით ძველად: 19. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 21. შემოდგომის ხილი; 22. უნგრეთის დედაქალაქი; 23. ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი.

**თ. კოპალეიშვილი**

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმeც.ყც,ეჯბ hჰჯცeჯჰcბცფ cფ ციფყeჯჰcბც გფცეlც,ბ5**

**კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. კარავი; 5. სადარაჯო; 6. პიურე; 7. ინტრიგა; 8. ბაზარი; 10. ბომბი; 13. ნაფოტა; 15. ბრამსი; 16. კივი; 17. სინი; 20. ფრიალო; 21. სოფელი; 22. ლიბრეტო; 23. ტატამი.

შვეულად: 1. პავიანი; 2. სადარბაზო; 3. რიტორიკა; 4. კუნძული; 5. სალუტი; 9. რომანი; 11. ბოკვერი; 12. მიკადო; 14. ფარფატი; 18. ირიბი; 19. კარტი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ბალასტი; 2. ლიე; 3. სამურზაყანო; 4. ია; 5. პოია; 6. ჩუმპე; 7. ბალუ; 8. ბრა; 9. ტირი; 10. ბაზა; 11; ლოყა; 12. გრეიპფრუტი; 13. ლირი; 14. ლიანა; 15. „რასიომონი“; 6. ანტალია; 17. დუტა; 18. ერგი; 19. ფადიშაჰი; 20. ოსკარი; 21. იო; 22. ლლაპუტა; 23. ჰოპტუ; 24. აკიდო; 25. კიი; 26. სოლ; 27. გრივნა; 28. ხურო; 29. ალ; 30. პირშუშხა; 31. ჰიდრა; 32. ალამი; 33. დუ; 34. ლა.

სურათებზე: ჯულიანა მური; ჯო კოული.

# წლის დასაწყისიდან მსოფლიოში 72 ჟურნალისტია დაღუპული



მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე მსოფლიოში 72 ჟურნალისტია დაღუპული. ამ ნუსხაში პირველი ადგილი სირიას უკავია. ინფორმაციას ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „პრესს ემბლემ კამპანი“ ავრცელებს, რომლის სათავო ოფისი ჟენევაში იმყოფება. აღნიშნული მაჩვენებელი გასულ წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს სამჯერ აღემატება. ამგვარ ზრდას უფლებების დამცველები მთელს მსოფლიოში შიდა კონფლიქტების ესკალაციას უკავშირებენ.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის მიხედვით, პრესისათვის სამუშაოდ ყველაზე საშიში რეგიონი ლათინური ამერიკა გახდა. იქ ჟურნალისტებს ადგილობრივი კრიმინალური სტრუქტურები ემუქრებიან.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მონაცემებით, 2011 წლის განმავლობაში მსოფლიოში 66 ჟურნალისტი მოკლეს. როგორც ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კვლევაში იყო აღნიშნული, ეს ციფრი წინა წელთან შედარებით, 16%-ით არის გაზრდილი.

გარდა ამისა, კვლევის მიხედვით, 1044 ჟურნალისტი გაიტაცეს, 1959 ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, 71 გაიტაცეს, 73-ს საკუთარი ქვეყნის დატოვება მოუწია და ა.შ. ასევე, ორგანიზაციამ ჟურნალისტებისთვის 10 ყველაზე საშიში ადგილის სია გამოაქვეყნა – მანამა, ბაჰრეინი; აბიჯანი, კოტ დ'იუვარი; კაირო, ტაჰრირის მოედანი, ეგვიპტე; მისრატა, ლიბია; ვერაკრუზი, მექსიკა; კუზდარი, პაკისტანი; მანილა, ფილიპინები; მოგადიშუ, სომალი; დერა, დამასკუ, სირია; სენას მოედანი, იემენი.

# ჰამასის“ ლიდერს 54-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს



ისრაელის სასამართლომ „ჰამასის“ ერთ-ერთ ლიდერს იბრაჰიმ ჰამადს 54 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ ის დამნაშავედ სცნო 2000 წლიდან დაწყებული მთელი რიგი ტერაქტების , ე.წ „მეორე ინტიფადის“ განხორციელებაში.

„ჰამასის“ მიერ განხორციელებული ტერაქტების შედეგად მოკლულია ისრაელის 46 მოქალაქე, დაახლოებით 400-მდე დაჭრილია. ისრაელის პოლიციამ დაახლოებით 8 ტერაქტის აღკვეთა შეძლო.

47 წლის „ჰამასის“ ლიდერს ისრაელის სპეცსამსახურები 1998 წლიდან ეძებდნენ. 2006 წელს ისრაელის სპეცსამსახურებმა ჰამადი დააკავეს. „ჰამასი“ ცდილობდა ისრაელი ჯარისკაც გილად შალიტში მოეხდინა ჰამადის გაცვლა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ისრაელის მხარემ „ჰამასს“ ლიდერი არ გადასცა.

„ჰამასი“ წარმოადგენს პალესტინის ისლამისტურ მოძრაობას, რომელიც მჭიდრო კავშირშია მუსლიმანურ საძმოსთან. მისი ოფიციალური მიზანია „ისრაელის გეოგრაფიული რუქიდან წაშლა“ და მის ადგილას (დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორის ჩათვლით) ისლამური თეოკრატიის შექმნა

# სისხლიანი მესა კენიაში



კენიის ქალაქ გარისეში ორ ქრისტიანულ ეკლესიაზე კვირას დილის მესის პერიოდში სისხლიანი თავდასხმები განხორციელდა. „ევრონიუსის“ ინფორმაციით, რამდენიმე ნიღბიანმა ბოროტქმოქმედმა, ჯერ ყუმბარები შეაგდო ეკლესიაში, ხოლო როდესაც შეშინებული ხალხი ქუჩაში გამოვარდა, მათ ავტომატის ჯერი დაუშინა.

დაღუპულია 17, მძიმედ დაჭრილია 45 ადამიანი. დაშავებულთაგან ზოგიერთის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. დაღუპულთა შორის ორი პოლიციელია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტერაქტის უკან სომალური დაჯგუფება „აშ შაბიბი“ დგას, რომელსაც „ალ ქაიდასთან“ თანამშრომლობაში დებენ ბრალს.

კენიამ ეთიოპიასთან ერთსად ვალდებულება აიღო სომალის ხელისუფლებას ტერორისტებთან ბრძოლაში დაეხმაროს. მას შემდეგ „აშ შაბიბმა“ რამდენჯერმე განახორციელ თავდასხმები ადგილობრივ ეკლესიებზე და ქრისტიან მოსახლეობაზე.

გარისე სომალის საზღვართან ახლოს მდებარეობს.

კენიის რესპუბლიკა მდებარეობს აღმოსავლეთ აფრიკაში, ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე, კვეთს ეკვატორი. მოსაზღვრე ქვეყნებია ეთიოპია (ჩრდილოეთით), სომალი (ჩრდილოაღმოსავლეთით), ტანზანია (სამხრეთით), უგანდა, ასევე ტბა ვიქტორია (დასავლეთით), სუდანი (ჩრდილო-დასავლეთით). დედაქალაქია ნაირობი. უკანასკნელ წლებში, ქვეყნის მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად გაიზარდა და შეადგენს დაახლოებით 38 მილიონს. კენია ფლობს ველური ბუნების უზარმაზარ რეზერვებს. აქ გავრცელებულია ცხოველთა ათასობით სახეობა.

ქვეყანას სახელი ეწოდა მწვერვალ კენიისგან, რომელიც სიმაღლით მეორეა აფრიკის მწვერვალებს შორის. 1920 წლამდე, ის ტერიტორია, რასაც დღეს ჩვენ კენიას ვუწოდებთ, ცნობილი იყო, როგორც ბრიტანეთის აღმოსავლეთ აფრიკის პროტექტორატი. ქვეყნის ფართობია 582.646 კვ.კმ.

# თეთრი სახლი ირანს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებს



თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის ჯეი ქერნის განცხადებით, ირანს რეალური შესაძლებლობა აქვს, დაიწყოს მოლაპარაკებები ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებში თეირანმა უნდა განახორციელოს კონკრეტული ნაბიჯები მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნების შესასრულებლად.

თეთრი სახლის წარმომადგენელი მიესალმა ევროკავშირის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ირანულ ნავთობზე ევროკავშირის ქვეყნებისთვის ემბარგო დაწესდა.

მისი თქმით, მოლაპარაკებების დაწყება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მშვიდობიანი გადაწყვეტილების მიღებისთვის.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის ქვეყნების ემბარგო ირანულ ნავთობზე ძალაში გუშინ შევიდა, რომლის თანახმადაც, ირანული ნედლი ნავთობის ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე შეტანა სრულად აიკრძალა.

დასავლეთის ქვეყნების აღნიშნული გადაწყვეტილება ირანის ბირთვულ პროგრამას უკავშირდება, რომლის თანახმადაც, ირანი ბირთვულ იარაღს აწარმოებს.

თავის მხრივ, ირანის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა მაჰმუდ ბახმანმა განაცხადა, რომ ირანის ხელისუფლება ევროკავშირის მიერ ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ ნავთობის ემბარგოს წინააღმდეგობას გაუწევს.

მისი თქმით, ქვეყნის ოქროს ვალუტის რეზერვების მარაგი იმპორტის დაფინანსებისათვის საკმარისი იქნება.

თუმცა ირანის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს არ დაუკონკრეტებია, თუ რა ზომების გატარებას აპირებს ირანი, ევროკავშირთან მიმდინარე ნავთობის კონფლიქტში.

ირანული მხარე დასავლეთის ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვული იარაღის წარმოება მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით ხორციელდება.

ამ ფონზე, მიმდინარე კვირაში დაგეგმილი სამხედრო წვრთნების ფარგლებში ირანი რაკეტებს გამოცდის – აღნიშნულის შესახებ ირანული სააგენტო „მეჰრა“ იუწყება.

„სი-ენ-ენ“-ის ცნობით, სამდღიანი ცდები დღეს დაიწყება. „წვრთნების ფარგლებში, მოკლე, საშუალო და გრძელ რადიუსიანი რაკეტები გამოიყენება, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით ასი სამიზნის მიმართულებით გაუშვებენ“, – აცხადებს გენერალი ამირ ალი ჰაზიჯაბედი.

ეს განცხადებაც ევროკავშირის მიერ ირანისაგან ნავთობის შესყიდვაზე დაწესებული ემბარგოს ამოქმედებას დაემთხვა. ქვეყნის საგარეო შემოსავლების 80 პროცენტი სწორედ ნავთობის ექსპორტზე მოდის.

# თურქმენეთი აზერბაიჯანს საერთაშორისო სასამართლოთი ემუქრება



ოფიციალური აშხაბადი აზერბაიჯანს კასპიის ზღვაში არსებულ „ქიაპაზის“ საბადოზე ბაქოს პრეტენზიების გამო საერთაშორისო სასამართლოთი დაემუქრა.

თურქმენეთის პოზიციის შესახებ 29 ივნისს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მინისტრმა კაკაგელდი აბდიალევმა განაცხადა. მისი განცხადებით, 2008 წელს აზერბაიჯანში თურქმენეთის პრეზიდენტ გურბანგულ ბერდიმუჰამედოვის ვიზიტისას მხარეებს რაიმე შეთანხმების შესახებ ხელი არ მოუწერიათ. ამასთან, თურქმენეთმა სადავო საკითხების მოგვარების ინიციატივა წამოაყენა: „სამწუხაროდ ამ ინიციატივას აზერბაიჯანის პასუხი არ მოჰყოლია“, – აღნიშნავს მინისტრი.

მან, ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „თურქმენეთმა არა ერთხელ მოსთხოვა აზერბაიჯანს სამუშაოები შეეჩერებინა იმ რაიონებში, რომლის იურისდიქციაც ჯერ დადგენილი არ არის. კერძოდ, საუბარია ომარისა და ოსმანის საბადოებზე“.

– სამწუხაროდ თურქმენეთს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიმართვის გარდა გზა აღარ რჩება, – აღნიშნავს თურქმენი მინისტრი.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ თურქმენეთის გეოლოგიური კვლევების ხომალდი სადავო რაიონში სამუშაოებს ატარებდა, რომელიც აზერბაიჯანელმა სასაზღვრო ძალების წარმომადგენლებმა გააძევეს.

სადავო საბადო ორ ქვეყანას შორის საზღვაო საზღვარზე მდებარეობს. ბაქო აშხაბადს სთავაზობს „ქიაპაზის“ საბადოზე ერთობლივი მუშაობა დაიწყონ, თუმცა აშხაბადი მას საკუთარ საბადოდ მიიჩნევს, ისევე როგორც აზერ-ჩირაგ-გიუნეშლის, რომელსაც აზერბაიჯანი 1994 წლიდან მოყოლებული ამუშავებს.

– თურქმენეთის ხელისუფლების დიპლომატიური დემარში და განცხადება იმის თაობაზე, რომ აპირებს კასპიის ზღვის სადავო საბადოების დამუშავებას – კრემლს უკავშირდება, რომელსაც არ სურს ევროპაში გაზის მონოპოლიაზე თქვას უარი – ამის შესახებ პოლიტიკურ კვლევით ცენტრ „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ხელმძღვანელმა არასტუნ ორუჯლუმ განაცხადა.

აზერბაიჯანელი ექსპერტის თქმით, პროვოკაციის კატალიზატორად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტი იქცა, რომელმაც რეგიონის ქვეყნებს ერთობლივ პროექტებში მხარდაჭერა აღუთქვა.

– სანამ რუსეთს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების შიდა პოლიტიკურ პროცესებზე შეუძლია გავლენის მოხდენა (აღარაფერს ვამბობ ირანზე), დროდარო ჩვენ მსგავსი დემარშების მომსწრენი გავხდებით. ეს დიპლომატიაში ფართოდ გავცელებული პრაქტიკაა, ამიტომ მსგავს „სვლებზე“ სერიოზულ სამხედრო ან სხვა ტიპის შედეგები არ უნდა ვივარაუდოთ, – აღნიშნავს პოლიტოლოგი.

# ევროპის ყველაზე მაღალ ცათამბჯენს ლონდონში გახსნიან



„ტაიმსის“ ინფორმაციით, ხუთშაბათს „კოშკებით სავსე ლონდონში“ ევროპის ყველაზე მაღალი ცათამბჯენის შარდის ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართება.

ხუთშაბათს საღამოს ლონდონის ცას 30 პროჟექტორი და 12 ლაზერის სხივი გაანათებს, ასე აღნიშნავენ ლონდონელები 95-სართულიანი ცათამბჯენის პრეზენტაციას.

ბრიტანეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ლონდონში შარდის გარდა, კიდევ ოთხი ცათამბჯენი უნდა აშენდეს. თუმცა იმ პერიოდში, როდესაც ასეთი კრიზისია, გამოცემას ეჭვი ეპარება, რომ ბევრი გამოჩნდეს ისეთი კომპანია, რომელიც ამ უზარმაზარი შენობების ფართის არენდით დაკავებას შეძლებს.

„ტაიმსის“ ინფორმაციით, ჯერჯერობით მხოლოდ არაბულმა „ალ ჯაზირამ“ გამოთქვა სურვილი, შარდში განთავსდეს.

ასევე შგახსენებთ, რომ მსოფლიოს ყველაზე მაღალი ცათამბჯენი მეზობელ აზერბაიჯანში აშენდება.

ბაქო ცდილობს დუბაი, როგორც არქიტექტურული საოცრებების ქალაქი, უკან ჩამოიტოვოს.

მსოფლიოს ყველაზე მაღალი ცათამბჯენი აზერბაიჯანში აშენდება. ეს აზერბაიჯანის გამოწვევაა არაბეთის გაერთიანებული ემირატების მიმართ. დღემდე ყველაზე მაღალი შენობა – „ბურჯ ხალიფა“ დუბაიში მდებარეობდა.

აზერბაიჯანის ცათამბრჯენის სიმაღლე 1050 მეტრი იქნება, რაც 22 მეტრით აღემატება წინამორბედს. ცათამბჯენის მშენებლობა 2015 წელს დაიწყება. მას კომპანია „ავესტა გრუპ ოფ კომპანი“ უხელმძღვანელებს.

ეს ყველაფერი არაა. მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობის გარშემო 41 ხელოვნური კუნძული შეიქმნება და მასზე მთელი ქალაქი გაშენდება. თავად ცათამბჯენი კომპოზიციის ცენტრალური არქიტექტურული ელემენტი იქნება.

ხელოვნური კუნძულები კასპიის ზღვაში, ბაქოს სამხრეთ-დასავლეთით გაშენდება. კუნძულები ქვეყნის ახალ ბიზნესცენტრად მოიაზრება. ქალაქი მლნ მცხოვრებზე იქნება გათვლილი. კუნძულები ერთმანეთს ხიდებით დაუკავშირდებიან. აქ განთავსდება აეროპორტები და ფორმულა-1-ის ტრასა.

კუნძულების მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 100 მლრდ დოლარი გამოიყო. აქედან 2 მლრდ აზერბაიჯანის ცათამბჯენის მშენებლობას მოხმარდება.

მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობის მშენებლობა 2018-2019 წლებში დასრულდება, ხოლო კუძულების მშენებლობა – 2022 წლამდე.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

სოხუმის რაიონის სახალხო განათლების მუშაკები, ეროვნული ინტელიგენცია, აფხაზეთის პედსაზოგადოება სამძიმარს უცხადებს განათლების მეთოდისტ-მასწავლებელს, ქალბატონ მედიკო ალანიას მამის

**ნიკოლოზ ალანიას**

გარდაცვალების გამო.

**აფხაზეთის პედსაზოგადოების სახელით: ლიანა ძიმისტარაშვილი, დავით შონია**

ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

**სამშაბათი 3 ივლისი**

**07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** მხ. ფილმი **"სუპერმენი"** **15.00** სერ. **"დეტექტივები"** **17.00** მედინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"ჩემი მეგობარი"** **21.00** სერ. **"დეტექტივები"** **22.00** მხ. ფ. **"ფაკირების გაცნობა"** (12) (დ. ხოფმანი) **00.20** მხ. ფილმი **"შიშის ფასი"** (12) (ბ. აფლეგი) **02.30** მხ. ფ. **"სერიული მკვლელი"** (15) (ჯ. ვუდსი) **04.00** მხ. ფილმი **"ტრეფიკინგი"** (18) (კ. სკოტი) **05.35** დოკ. ფილმი "სამყარო".

**08.00, 00.45** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **16.00** დოკ. ფილმი **17.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **20.00** მხ. ფილმი **"ორმაგი შეცდომა"** 3-4 სერ. **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"მშვიდობისმოყვარე"**

**07.30** იმედის დილა **10.05** ან. ფილმი "სპანჯ ბობი" **10.30** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.30** ქრონიკა+ **11.00, 11.30, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00** ქრონიკა **11.50** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღვინის გზა"** **15.40** ღამის შოუ (გან.) **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** ნანუკას შოუ **23.40** თბილისი ლაივი **00.50** სპეც რეპორტაჟი (გან.) **01.40** მხ. ფილმი **"მეცხრე ლეგიონი"** **03.55** მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** **06.05** მუსიკა. **06.30** სერ. **"შურისძიების საფასური"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** თქვენი შოუ **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.20** სერ. **"ნათლიმამას ისტორია"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.15** ან. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** სერ. **"კლეოპატრა"** **19.00** გზა ლონდონისკენ **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"საიდუმლო აგენტების თავგადასავალი"** **10.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა"** **12.50, 19.35** სერ. **"ოსტატი და მარგარიტა"** **13.50** სახლი ბათუმში **15.15** სერ. **"საიდუმლო აგენტების თავგადასავალი"** **16.00** დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **19.30** ანონსი. **19.35** სერ. **"ოსტატი და მარგარიტა"** **23.00** დოკ. ფილმი "ისინი" **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** გუთნისდედა **11.15** საღვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.05, 21.00, 24.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი. **12.15** მხ. ფილმი **"გლახის ნაამბობი"**. **13.35** კონცერტი: "ნიჟინალი" და "სახიობა". **15.05** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტცმარი. **15.55** მხ. ფილმი **"ოქროს ტბასთან"**. **16.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.10** **100** ქართული სიმღერა. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **18.55, 21.55** ერთი ნივთის ისტორია. **18.55** ისტორიის დღიური. **19.00** სიახლენი. **19.15** გამოყენებითი ხელოვნება. **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **22.00, 02.30** სიახლენი. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **21.25** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა. **21.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. **22.25** მგზავრების წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი". **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** ერთსულოვნების სალონი. **01.50** კარაბადინი **02.15** კლასიკა. **02.30** სიახლენი.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ivlisi

აშშ დოლარი — 1,6369
ევრო —2,0455
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5586
რუსული რუბლი — 0,0498

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-27, ღამით — 18-19.
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 17-18.

ამინდის პროგნოზი 3 ივლისისთვის







# 14 ივნისიდან!
## დიდი საზაფხულო აქცია
## ქართული მწერლობის საუნჯე
## „ახალ თაობასთან“ ერთად
ფასი 5 ლარი


წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** — არავის ენდოთ, საკუთარ თავს დაეყრდენით. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **სასწორი** — სახლში კარგი ამბებია, გახარებული ხართ. **მორიელი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფულიც გექნებათ. **მშვილდოსანი** — წარსულს ნუ დაივიწყებთ. **თხის რქა** — გზაში კარგ ამბავს გაიგებთ და საინტერესო პიროვნებას გაიცნობთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგდით. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

## ქეთი მელუა უმდიდრესი მომღერლების სიაშია

ეკა ირემაშვილი

დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუა ბრი-



ტანული გამოცემის „სანდი თაიმსის“ გამოკითხვით მილიონერი მომღერლების სიაშია. გამოცემამ ქეთი მელუა 30 წლამდე ასაკის ბრიტანელი მილიონერი მომღერლების სიაში შეიყვანა და ქართველ მომღერალს მეორე ადგილი მიაკუთვნა.

ამჯერად პირველობა ფილმ ჰარი პოტერში მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა დანიელ რედკლიფმა მომღერალ ადელს დაუთმო. ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, მომღერალს 20 მილიონი ფუნტი სტერლინგი აქვს, რაც წინა წელთან შედარებით 14 მილიონითაა გაზრდილი.

მეორე ადგილს 12-12 მილიონით სამი მომღერალი იკავებს — ქეთი მელუა, შერილ ქოული და ლიონა ლუისი. სამივე მომღერალი გასული წლის მსგავსად 12 მილიონი ფუნტის მფლობელები არიან.

ახალგაზრდა ბრიტანელი ხე-


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## დვალი მსოფლიო ბომბარდირებში



ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გასული სეზონის ბომბარდირთა მონაცემები შეაჯამა და ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო მეგოლეების სია გამოაქვეყნა. მსოფლიო ბომბარდირებში საქართველოს 23-ე ეროვნული ჩემპიონის „ზესტაფონის“ ფორვარდი, ჯაბა დვალიც მოხვდა. ქართველი ფეხბურთელი რეიტინგში 53-ე ადგილს იკავებს.

ჯაბა დვალმა გასულ ჩემპიონატში მეტოქის კარში 20 გოლი გაიტანა და ბომბარდირის ტიტული დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ მონაცემებში შეტანილია მხოლოდ ჩემპიონატში გატანილი გოლები და არა სათასო თუ საერთაშორისო ტურნირების მონაგარი.

მსოფლიო ფეხბურთის რეიტინგში თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავები არგენტინელი ლიონელ მესი და პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ პირველ-მეორე ადგილს იკავებენ. გთავაზობთ საუკეთესო ათეულის სიას:

1.ლიონელ მესი (არგენტინა, ბარსელონა) — 50 ბურთი, 2.კრიშტიანუ რონალდო (პორტუგალია, რეალი) — 46, 3.ჰენრი ერნანდესი (კოლუმბია, ხაგუარესი) — 35, 4-5.ბას დოსტი (ჰოლანდია, ჰერენვენი), ბურაქ ილმაზი (თურქეთი, ტრაბზონსფორი) — 32-32, 6.რობინ ვან პერსი (ჰოლანდია, არსენალი) — 30, 7.კლაას იან ჰუნტელაარი (ჰოლანდია, შალკე) — 29, 8.ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი, მილანი) — 28, 9-10.ორიბე პერალტა (მექსიკა, სანტოსი), სეიდუ დუმბია (კოტდივუარი, ცსკა) — 28-28.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა


# 4 ივლისიდან
## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით — „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.

მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა — ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.

„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...


**შვეულად:** 1. მოკარნახე თეატრში. 2. თბილ ქვეყნებში გავრცელებული მარადმწვანე მცენარე; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო; 12. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

**თარაზულად:** 5. მრავალსართულიანი კასტრული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 6. ლატვიელი ესტრადის მომღერალი ქალი; 8. ტვინის შერყევა; 10. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 11. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტანზე; 13. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 16. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 18. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 19. ნავსადგური ყირიმში; 21. მე-13 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი ხულოს რაიონში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 23. მეღვინეობა-მევენახეობის რაიონი იტალიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

